გაზეთი ბოევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№10 (1552) 7 — 13 აპრილი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

23 წლის ბიჭმა იმერეთში, 90 წელს მიტანებული სამი ქალი გააუპატიურა

რა ჩვენება მისცა გამოძიებას მოძალადემ და რა მოხდა ციხის საკანში

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა ბიუჯეტი გადაიბარა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და რა ვერ შეასრულა გიორგი გახარიამ?!

პანდემიური ბიუჯეტის გამოწვევები – ეკონომისტების რეცეპტი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს

„9-ში მანდ ვარ“ ანუ „უცნობის“ უცნობი სტრატეგია

რას ნიშნავს „საქართველოსა და ქართველების მარადისობის დღე“ – რამდენიმე სურათი ძმები გაჩეჩილაძეების პოლიტიკური აწყმოსა და წარსულიდან

კახა კუკავა: „ექვსი თვეა, ოპოზიცია და ხელისუფლება ერთ ადგილას „ბუქსაობს“

„საზოგადოების განათლებული, მოაზროვნე ნაწილი პოლიტიკას ჩამოსცილდა და პოლიტიკაში დარჩნენ ექსტრემისტები!“

რა ბიუჯეტი გადაიბარა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და რა ვერ შეასრულა გიორგი გახარიამ?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პანდემიური ბიუჯეტის გამოწვევები – ეკონომისტების რეცეპტი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს

გასული კვირა ფინანსთა მინისტრის გადადგომით დასრულდა. მართალია, ვანო მაჭავარიანი პოსტის დატოვებას 2020 წლის დეკემბერშივე აპირებდა, მაგრამ იმის გამო, რომ 2021 წლის კრიზისული ბიუჯეტი უნდა დამტკიცებულიყო და პარალელურად, მას, როგორც ფინანსთა მინისტრს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები უნდა დაესრულებინა, გადაწყვეტილება რამდენიმე თვით გადადო. ამასობაში, პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია გადადგა და მასთან ერთად, თანამდებობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმაც დატოვა. მოკლედ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ის მინისტრები შეიცვალნენ პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, რომლებიც, დიდწილად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე არიან პასუხისმგებელნი. შესაბამისად, ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც მოქმედ პრემიერ-მინისტრს, მთავრობის გუნდის ახალ წევრებთან ერთად, მძიმე მემკვიდრეობა ერგო, შექმნილი ვიტარების გამო სწორედ მის ახალ გუნდს მოუწევს პასუხი აგოს იმ ფისკალურ, მაკრო და მიკროეკონომიკურ საკითხებზე, რომლებიც, როგორც მინიმუმ, მას ნამდვილად არ დაუგეგმავს. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან პირველი კვარტალიც კი არ დასრულებულა, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, მიმდინარე წლის ანტიკრიზისული ბიუჯეტის პროექტიც კი გახარიას გუნდმა წარუდგინა პარლამენტს დასამტკიცებლად. აქედან გამომდინარე, უპრიანია, 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება განვიხილოთ და კონკრეტული ციფრების მიხედვით ვნახოთ, რა დაგეგმა და შეასრულა გახარიამ, ან უფრო ზუსტად, რა ბიუჯეტი და გამოწვევები გადაიბარა ირაკლი ღარიბაშვილმა.

2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, მთავრობამ, კანონის თანახმად, 2019 წლის ოქტომბერში წარუდგინა პარლამენტს. სამი შესწორების შემდეგ (ესეც კანონითაა დადგენილი), შარშანდელი ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 5%-იანი ზრდის გათვალისწინებითა დაგეგმეს, რაც სპეციალისტების შეფასებით, გახარიას მთავრობის საკმაოდ ამბიციური და თამამი გადაწყვეტილება გახლდათ. ეს იმიტომ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 2.7% იყო, რაც მთავარია, შარშანდელი ბიუჯეტი სოციალური მიმართულებების ასიგნებების მკვეთრი ზრდით დაგეგმეს. მთავრობის ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებით 45%-ით დაიგეგმა, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ამ ვალის დასაშვები ზედა ზღვარი 60%-ია.

მთლიანობაში, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 14 მილიარდ 212 მილიონი ლარი იყო. აქედან რამდენიმე მიმართულებაა აღსანიშნავი: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 4 მილიარდ 347 მილიონი ლარით დაფინანსდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის 30%-ზე მეტია.

2020 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 3 მილიარდ 700 მილიონი ლარი გაითვალისწინეს; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე – 240 მილიონ ლარზე მეტი, მათ შორის შეღავათიანი აგროკრედიტებისათვის – 74 მილიონი ლარი; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის – 300 მილიონი ლარი; თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის – 100 მილიონი ლარი; თავდაცვის სამინისტრო – 880 მილიონი ლარი...

2020 წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა, მაგრამ უკვე მეორე კვარტლიდან, ამ მხრივ, სერიოზული პრობლემები გამოიკვეთა, ხოლო მაისში – ეკონომიკური მდგომარეობა გამწვავდა. ეს იმიტომ, რომ 2020 წელს, მთელი მსოფლიო და, ცხადია, საქართველოც, ახალი კორონავირუსისა და მისგან გამოწვეული პანდემიის საფრთხის წინაშე დადგა. მთელი დედამიწა მარტის დასაწყისში ჩაიკეტა, „ლოქდაუნი“ გამოცხადდა და ცხოვრება დაპაუზდა. პრობლემებმა თავი უკვე აპრილშივე იჩინა, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებმა იკლო, განსაკუთრებით, საგადასახადო ნაწილში. მოკლედ, COVID-19-ის პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტში რადიკალური ცვლილებები განახორციელა და 2020 წლის ივნისის დასაწყისში, პარლამენტში წარადგინა.

„პანდემიური“ ბიუჯეტი

დავიწყოთ იმით, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკონომიკა 4%-ით შემცირდა. 2020 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 3 მილიარდ 900 მილიონი ლარით გაიზარდა და 18 მილიარდ 4 მილიონ ლარს მიაღწია. ბიუჯეტის ნაწილი გახდა StopCov ფონდში მობილიზებული 133 500 000 ლარიც. საგადასახადო შემოსავლები 1 მილიარდ 500 მილიონი ლარით შემცირდა, რაც ეკონომიკის შემცირებასა და საგადასახადო შეღავათების დაწესებას მოჰყვა.

მთლიანობაში, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 547 მილიონი ლარის ეკონომია განახორციელეს. მსხვილი თანხები იმ პროგრამებიდან დაზოგეს, რომელთა შესრულება პანდემიის გამო შეფერხდა. ყველაზე მეტად, რამდენიმე სამინისტროს ხარჯები შემცირდა, კერძოდ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 251 მილიონი ლარი მოაკლდა; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს – 128 მილიონი ლარი და თავდაცვის სამინისტროს – 75 მილიონი ლარი. იმავდროულად, 1 მილიარდ 500 მილიონი ლარით გაიზარდა და 15 მილიარდ 900 მილიონ ლარს მიაღწია ბიუჯეტის გადასახდელებმა; 1 მილიარდი ლარით გაიზარდა სოციალური ხარჯები და ჯამში, ამ მიმართულებით, 5 მილიარდ 300 მილიონი ლარი დაიხარჯა.

პანდემიისგან გამოწვეული ცვლილებების გამო, რამდენიმე უწყების ხარჯი გაიზარდა: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 1 მილიარდ 152 მილიონი ლარით; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 458 მილიონი ლარით (აქედან, 330 მილიონი ლარი საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად დაიხარჯა, 70 მილიონი ლარი – სასტუმროების საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებას მოხმარდა, 20-20 მილიონი ლარი – მცირე გრანტების გაცემასა და სამშენებლო სექტორის მხარდაჭერას, ხოლო 45 მილიონი ლარი – საკარანტინო სივრცეებით მომსახურების ანაზღაურებასა და ფრენების სუბსიდირებას); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 485 მილიონი ლარით (აქედან, 69 მილიონი ლარი მოხმარდა რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებს, მათ შორის, ყურძნის ფასის სუბსიდირებას; 40 მილიონი ლარი დაიხარჯა ფერმერთა 200-ლარიანი დახმარების პროგრამაზე, ხოლო 20 მილიონი ლარი – სასურსათო მარაგების შექმნასა და სასურსათო პროდუქტების ფასების სუბსიდირებაზე).

გარდა ამისა, ადმინისტრაციული ხარჯები 115 მილიონი ლარით გაიზარდა და 3 მილიარდ ლარს გადააჭარბა. სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, პანდემიური სიტუაციის გამო, საქონლისა და მომსახურების ხარჯები 195 მილიონი ლარით გაიზარდა. აქედან, 44 მილიონი ლარი – საკარანტინე სივრცეების მომსახურების ანაზღაურება, ხოლო 151 მილიონი – ჯანდაცვის დამატებითი ხარჯებია, მათ შორის, ტესტები, პირადი დაცვის საშუალებები და სხვა.

ბიუჯეტის ცვლილების შედეგად, ყველაზე მეტად ანუ 793 მილიონი ლარით გაიზარდა სოციალური დაცვის ხარჯი, რაც უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას მოხმარდა. მთავრობამ ამ მიზნით, 525 მილიონი ლარი დახარჯა. გარდა ამისა, კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის 170 მილიონი ლარი გამოყვეს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის – 61 მილიონი ლარი. ცვლილებების პროექტით, შშმ პირთა დახმარებაც გაიზარდა, რისთვისაც მთავრობამ 24 მილიონი ლარი გაითვალისწინა. 393 მილიონი ლარით გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯიც, მათ შორის, ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ჯა-

ნდაცვის ხარჯები – 285 მილიონი ლარით, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა კი – 60 მილიონი ლარით.

გარდა ამისა, 45 მილიონი ლარით გაიზარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ხარჯი, ხოლო ამ პროგრამის წლიური ბიუჯეტი 802 მილიონი ლარი გახდა. სხვათა შორის, სპეციალისტების მოსაზრებით, 2019 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის ფაქტობრივი ხარჯი 829 მილიონი ლარი იყო, შესაბამისად, 802 მილიონი ამ პროგრამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ბიუჯეტის ცვლილების შედეგად, დამატებით 20 მილიონი ლარი, დევნილთა სახლების შესაძენად გამოყვეს.

იმის გამო, რომ 2020 წელს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების შემოსავლები შემცირდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერების ჯამური მაჩვენებელი 85 მილიონი ლარით გაიზარდა.

2020 წელს, საქართველოს მთავრობამ 8 მილიარდ ლარზე მეტი ვალი აიღო, მაგრამ პარალელურად, ერთ მილიარდი ლარის ოდენობით, ადრე აღებული ვალი დაფარა. შედეგად, მთავრობის ვალი 7 მილიარდი ლარით გაიზარდა, საიდანაც 1 მილიარდ 800 მილიონი ლარი – საშინაო ვალი, ხოლო 5 მილიარდ 200 მილიონი – საგარეო ვალია. 2020 წლის ბოლოს, მთავრობის ვალმა 27 მილიარდ 600 მილიონ ლარს მიაღწია, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 54.8%-ია (კანონით დაშვებულია 60%).

დამატებით აღებული საშინაო ვალიდან, მთავრობამ 600 მილიონი ლარი კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში განათავსა. ექსპერტების შეფასებით, ეს გადაწყვეტილება კომერციული ბანკების სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება იყო და გარდა ამისა, მთავრობამ ეროვნული ბანკის ფუნქციაც კი შეითავსა, რადგან ბანკებს ლიკვიდობა მიაწოდა!

პანდემიის შედეგად წარმოქმნილი დეფიციტის დასაფინანსებლად, 4 მილიარდ 500 მილიონი ლარის ფინანსური რესურსი საერთაშორისო პარტნიორებმა გამოყვეს, მათ შორის, „აზიის განვითარების ბანკმა“ – 1 მილიარდ 455 მილიონი ლარი; „გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა“ – 885 მილიონი ლარი; საერთაშორისო სავალუტო ფონდმა – 603 მილიონი ლარი; აზიის ინფრასტრუქტურის ბანკმა – 450 მილიონი ლარი; საფრანგეთის განვითარების სააგენტომ – 440 მილიონი ლარი; მსოფლიო ბანკმა – 396 მილიონი ლარი; ევროკავშირმა – 241 მილიონი ლარი.

ეკონომისტების რეცეპტი რეგულაციების შემსუბუქებაა

„ბიზნესმედია ჯგუფის“ დამფუძნებელი და ქართულენოვანი „ფორბსის“ მთავარი რედაქტორი, გიორგი ისაკაძე, „ვერსიის“ საშუალებით, ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას უმთავრეს მესიჯს უგზავნის – სასწრაფოდ უნდა შედგეს დიალოგი მთავრობასა და ბიზნესს შორის!

– გიორგი, 2020 წლის პანდემიური ბიუჯეტი, რომელიც გახარიას კაბინეტმა მოამზადა, მემკვიდრეობით, ღარიბაშვილს ერგო და რა გამოდის, ყველაფერზე, რაც შესრულდა, ან არ შესრულდა, პასუხიც ამ უკანასკნელმა უნდა აგოს?

– კი, ცალსახად ასეა... ზოგადად, ჩვენ კარმად დაგვყვება ის, რომ ყოველი პრემიერ-მინისტრის ცვლილების შემდეგ, ძირითადი მიმართულებები კორექტირდება ანუ რა და როგორ იქნება მომავალში, რასაც ზემოდან პანდემიაც ერთვის. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული პრიორიტეტები შეიცვალოს, მაგალითად, გახარია არ აპირებდა ეკონომიკის განვითარების ათწლიანი გეგმის დაწერას, რაც ღარიბაშვილმა დაიწყო. ძალიან რთულია, დღეს განჭვრიტო, რა და როგორ იქნება ათი წლის შემდეგ, თუმცა საინტერესოა, ვინ და როგორ იმუშავებს ამ გეგმაზე.

– შარშანვე, პანდემიურ ბიუჯეტს საპარლამენტო არჩევნების ხარჯებიც ტვირთად დააწვა და ლარის კურსიც მკვეთად გაუფასურდა...

– შეუძლია ვინმეს, მითხრას ერთი არგუმენტი, რატომ არ უნდა გაუფასურებულიყო ლარი? რა გარემოება არსებობდა ისეთი, რომელიც ლარს კი არ გააუფასურებდა, არამედ, გაამყარებდა მაშინ, როდესაც გარშემო ყველაფერი ჩამოგვენგრა, როცა ვხარჯეთ

ისე, როგორც ვხარჯეთ, როცა არჩევნები ჩავატარეთ ისე, როგორც ჩავატარეთ და როცა ყველანაირ კრიზისს გარშემო, მათ შორის, ეკონომიკურსა და პანდემიურს, ზემოდან, თაფლაკვერის სახით, პოლიტიკური კრიზისიც დავუმატეთ?!

თურქეთში, ეროვნული ვალუტა – ლირა 15%-ით გაუფასურდა და სულ რომ ფეხი ფეხზე გადაგვედო, მარტო მოლოდინები შეგვჭამდა, როცა 1/6-ით გაუფასურდა მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ვალუტა! ამ ვითარებაში გვრჩება ის, რომ ბიზნესს უნდა შევხვდეთ, მაგრამ არა იმისთვის, რომ შეხვედრა შეხვედრისთვის გავმართოთ და სამ-ოთხ საათში დავიშალოთ, არამედ, იქნებ, ბიზნესს მოვუხსნათ ბარიერები და დროებით გადავდოთ შეზღუდვები თუ რეგულაციები, მათ შორის, სავალუტო რეგულაციებიც.

ჩვენ სიტყვის დონეზე დავრჩით ომში ვირუსთან და დაგვავიწყდა, რომ ზუსტად რვა თვის წინ, ჩვენთან ყურისძირში, 275 კილომეტრში, 47-დღიანი ომი მიმდინარეობდა, რომელმაც გადაალაგა გეოპოლიტიკური ვითარება ჩვენს რეგიონში, ვგულისხმობ ყარაბაღის ომს. დიახ, არ ვირჩევთ მეზობლებს და ვართ ისეთები, როგორებიც ვართ, შესაბამისად, ჩრდილოეთ მეზობელთან, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით და ამიხსენით, რატომ უნდა გამყარებულიყო ლარი? ლარი ეპიზოდურად გამყარდება, თუმცა უფრო ხშირად გაუფასურდება, რადგან მისი ძირითადი გამამყარებელი ფაქტორები დაზიანებულია – ქვეყანაში არ გვაქვს შემოსავლები! ამიტომ მთავრობამ, პარლამენტთან ერთად უნდა მიხედოს და გაარკვიოს, როგორ ხაზს ვინარჩუნებთ, რათა ბიზნესმა იცოდეს, საით მიდის ეს ქვეყანა.

გამოსავალი მხოლოდ ეს არის და დღეს, ჩემი მეგობარი მედიის საშუალებით, მინდა შევუთვალო მთავრობას, რომ ბიზნესთან სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი. მხარეები უნდა დასხდნენ და დაიწყონ მუშაობა, რათა ყოველდღიური ყოფა გაიოლდეს ისე, რომ ძალიან დაბალ ხმაზე მჩქეფარე მუსიკა, რასაც ეკონომიკა ჰქვია და რომლის ხმაც არ ისმის, საბოლოოდ არ ჩაქრეს!

ეკონომისტი, ანდრია გვიდიანი, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას ბარიერების მოხსნა, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება და რეგულაციების შერბილება მოუწევს. რაც შეეხება მთავრობას, ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ღარიბაშვილის გუნდი იმ პრობლემების წინაშე დგას, რომელიც გასულ წელს, გლობალური პანდემიის გამო შეიქმნა და რაც წინა პრემიერის გუნდისგან მემკვიდრეობით ერგო.

– იმ პრობლემებისა და რეალობის გათვალისწინებით, რომლის წინაშეც ახლა ვართ, რა არის ის უმნიშვნელოვანესი, რაც ღარიბაშვილის მთავრობამ უნდა გააკეთოს?

– კომპლექსური კითხვაა, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში, მთავარია ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები მოგვარდეს ანუ ბიუჯეტი ჯანდაცვის გამოწვევებს უნდა პასუხობდეს, რაც მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება საშუალო და გრძელვადიან პერიოდებს, ხელისუფლებას მოუწევს, თავის შეხედულებებს, იგივე, იდეოლოგიურ დონეზე, გადახედოს. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ის, რომ კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთი წინაპირობაა, მეტ-ნაკლებად, მემარჯვენე გადაწყვეტილებების მიღება, რაც ორიენტირებული იქნება ბიზნესის კეთილდღეობაზე, კომფორტსა და ხელშეწყობაზე, რათა უფრო მეტად დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდის ტემპი.

ძალიან ბევრი პროექტია თაროზე შემოდებული – ბიუროკრატიული თუ სხვა ტიპის გამოწვევების გათვალისწინებით, მაგრამ იმავდროულად, საკმაოდ დიდი რესურსი გვაქვს, იგივე, ენერგეტიკის მიმართულებით, მაგრამ ამ ტიპის პროექტები გაჩერებული და გაჭიანურებულია. ვფიქრობ, ხელისუფლების მთავარი ამოცანა, სწორედ ასეთი პროექტების გაცოცხლება იქნება. გარდა ამისა, არსებობს ბიუროკრატიული ბარიერები, რომლებიც დამაბრკოლებელი და ხელშემშლელი ფაქტორია ბიზნესის საკეთებლად იმის მიუხედავად, რომ საქართველო მოწინავე პოზიციებზეა ბიზნესის კეთების მიმართულებით. შესაბამისად, ეს ბიუროკრატიული ბარიერები უნდა მოიხსნას.

– გამოდის, ღარიბაშვილის მთავრობას რეგულაციების შერბილება მოუწევს?

– ვფიქრობ, ღარიბაშვილის მთავრობას მოუწევს ძალიან ბევრი, მკვეთრი გადაწყვეტილებების მიღება, რათა სწრაფად დაძლიოს კრიზისი, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. ბიუროკრატიული ბარიერების მოსპობასა და რეგულაციების შერბილებას საკმაოდ მკაცრი ხელი და ქმედუნარიანი მთავრობა სჭირდება, რომელიც სწრაფად გაატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს. ეს აუცილებელია, რათა ბიზნესმა მალე აღიდგინოს ის ვითარება, რაც პანდემიამდე პერიოდში გვქონდა. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა ბიზნესის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ რამდენადაც ბიზნესი იქნება კომფორტულ მდგომარეობაში, იმდენად ჯანსაღი ეკონომიკური გარემო გვექნება, მაგრამ რამდენადაც შევზღუდავთ ბიზნესს, მით უფრო შემცირდება ჩვენი ეკონომიკური ზრდის ტემპი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ ის ღონისძიებები უნდა გაატაროს, რაც ბიზნესზე იქნება ორიენტირებული. ვფიქრობ, ღარიბაშვილის მთავრობის ხელში, ეს აბსოლუტურად რეალისტურია, რადგან თავისი ხასიათითა და ბუნებით, ღარიბაშვილი ისეთი მმართველია, რომელიც სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს.

„9-ში მანდ ვარ“ ანუ „უცნობის“ უცნობი სტრატეგია

ნინო დოლიძე

ისინი 9-ში, ესე იგი, 9 აპრილს, „მანდ“ არიან. ამ შემთხვევაში, „მანდ“ რესპუბლიკის მოედანია, სადაც მომღერალ „უცნობის“ ინიციატივითა და ორგანიზებით, „საქართველოსა და ქართველი ხალხის მარადისობის დღე“ უნდა აღინიშნოს. რას ნიშნავს „საქართველოსა და ქართველი ხალხის მარადისობის“ დღე? – ამის შესახებ, დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, დასახელების სიღრმეებში ჩასვლას? – მთავარია, სახელწოდება – „საქართველოსა და ქართველი ხალხის მარადისობის დღე“, ძალიან ემოციურ-პატრიოტულია და ნაციონალურ გრძნობებზეც ძალიან კარგად „თამაშობს“. ჰოდა, „უცნობმა“, რომელიც ბოლო წლებში, მაინცდამაინც აქტუალური აღარაა, ალბათ, გადაწყვიტა, რომ ხმაურიან ცხოვრებას დაუბრუნდეს და შესაბამისად, ზემოხსენებული დღესასწაულის დაარსებაც მოიფიქრა.

რას ნიშნავს „საქართველოსა და ქართველების მარადისობის დღე“ – რამდენიმე სურათი ძმები გაჩეჩილაძეების პოლიტიკური აწყმოსა და წარსულიდან

საერთოდ, თუ დავაკვირდებით, „უცნობი“ და მისი უფროსი ძმა, ლევან გაჩეჩილაძე მაშინ ჩნდებიან ხოლმე, როცა ქვეყანაში რაღაც ხდება, უფრო სწორად, უნდა მოხდეს. აი, მაგალითად, გავიხსენოთ შორეული 90-იანი წლების ბოლო – მაშინ ყველამ იცოდა, რომ „მოქკავშირის“ შიგნით, ვულკანი მზადდებოდა ამოსაფრქვევად. არსებობდა მოლოდინი, რომ ამ პოლიტიკური ლავის ფუნქციას ე.წ. რეფორმატორთა ფრთა შეასრულებდა, თუმცა ისე მოხდა, რომ იმდროინდელი მმართველი პარტიის დაშლა, მისი ახალი წევრების – ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძის გამიჯვნით დაიწყო.

მერე, დრო რომ გავიდა, ისინიც კი, რომლებსაც პოლიტიკის ანა-ბანა არ გაეგებათ, მიხვდნენ, რომ გაჩეჩილაძის პოლიტიკაში მოსვლის მიზანი, თავიდანვე სხვა იყო ანუ დღეს უკვე აღარავინ უარყოფს, რომ ახალი მემარჯვენეები, რომლის სათავეებთან, სწორედ უფროსი ძმა გაჩეჩილაძე იდგა, აწ განსვენებული ოლიგარქის, ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკური პროექტი იყო.

ახლა, იმაზე საუბარს არ მოვყვებით, პატარკაციშვილს პოლიტიკური პარტია რისთვის სჭირდებოდა, თუმცა ერთს მაინც აღვნიშნავთ: როგორც მაშინდელ კულუარებში ამბობდნენ, პატარკაციშვილი ფულს აძლევდა ყველას – ხელისუფლებიდან დაწყებული, ოპოზიციის ყველაზე ურეიტინგო პარტიით დამთავრებული და ეს ქველმოქმედება კი არა, ერთგვარი ინდულგენცია იყო ანუ გადამწყვეტ დროსა და მომენტში, პოლიტიკურ ელიტას ოლიგარქის ინტერესები უნდა გაეტარებინა, თუმცა როცა ეს გადამწყვეტი „დრო და მომენტი“ დადგა, მოვლენები ძალიან დრამატულად განვითარდა.

კერძოდ, 2007 წლის სისხლიანი 7 ნოემბრის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო კი არა, საპრეზიდენტო არჩევნებიც დანიშნა. ჰოდა, გაპრეზიდენტების სურვილი ბადრი პატარკაციშვილმა და... ლევან გაჩეჩილაძემაც გამოთქვეს. არადა, ყველა ლოგიკით, გაჩეჩილაძეს, რომელიც მაშინდელი გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი იყო და სააკაშვილს უყვიროდა, მიშა, მოვდივარო, საკუთარ ამბიციებზე უარი უნდა ეთქვა და პატარკაციშვილის მხარეს დამდგარიყო, მაგრამ რა დროს ოლიგარქი გახლდათ, როცა მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, ძმები „გრეჩიხები“, თურმე, მიშასთან „შარი-შურობდნენ“.

ზოგადად, სანამ დაუპირისპირდებოდნენ და „ნაციონალების“ მმართველობას დაგმობდნენ, ორივე ძმა, სააკაშვილის ლამის ძმადნაფიცი იყო. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არსებობს ფოტო თუ ვიდეოკადრი, როგორ ავიდა კონცერტის დროს მიშა სცენაზე და როგორი აღრთოვანებული მისჩერებოდა „უცნობი“ „გიჟს“, თუმცა ამ აღტკინებამ მალე გაუარა და, ბოლოს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ წეღანდელი თქმისა არ იყოს, ძმები გაჩეჩილაძეები, არა თუ ანტისააკაშვილისეული მოძრაობის ლოკომოტივები არ გახდნენ, არამედ, იგივე „უცნობმა“, მაშინდელ „მაესტროზე“, გადაცემა „საკანიც“ გააკეთა, სადაც დღესა და ღამეს ატარებდა. სხვათა შორის, 2009-ში, ეს გადაცემა იმის ინსპირირება გახდა, რომ რუსთაველზე, კარვების ქალაქი გაიშალა და რამდენიმე თვის განმავლობაში, ოპოზიციონერები და მათი მიმდევრები დედაქალაქის მთავარი გამზირიდან ფეხს არ იცვლიდნენ, თუმცა ეს „ფეხისმოუცვლელობა“ უშედეგოდ დამთავრდა – „ნაციონალები“, 2012 წლის შემოდგომამდე, ხელისუფლებაში მყარად იყვნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძმები გაჩეჩილაძეები, ბოლო წლების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის სათავეებთან დგანან. შესაბამისად, მათ შესახებ, თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, თუმცა ნათქვამია, განმეორება ცოდნის დედაო. ამიტომაც, „ვერსია“ ერთ-ერთი ქართული ინტერპორტალის მიერ მომზადებული ძმების ერთგვარ დოსიეს უცვლელად გთავაზობთ:

„გიორგი გაჩეჩილაძე, იგივე „უცნობი“, ძირითადად, შემოქმედებით საქმიანობას ეწევა – ქმნის მუსიკას, არის მწერალი, მსახიობი, შოუმენი და აქტივისტი. „უცნობი“, წლების წინ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მსახიობი იყო. 1998 წელს, გამოსცა წიგნი „ბედისწერა“. 2005 წლიდან, რადიო „უცნობის“ დამფუძნებელია.

„უცნობმა“, საზოგადოებას თავი, შემოქმედების გარდა, აქციებში აქტიური მონაწილეობით დაამახსოვრა. ამბობდა, რომ დედამიწის ზურგზე რაც უნდა მოხდეს, პოლიტიკაში არასდროს წავა.

„პოლიტიკაში ერთი წამით არ შემიდგამს ფეხი და ამას არც არასდროს ვაპირებ. მე ყოველთვის იმ განცხადებებს ვაკეთებდი, რომელიც იმ დროს საქართველოს სჭირდებოდა. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დროს, ვერაფრით გავჩერდებოდი და ისე ვერ მოვიქცეოდი, თითქოს არაფერი ვიცი. ყოველთვის ვიდგები იქ, სადაც საჭიროა და ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ. ეს შემიძლია და ეს უნდა ვაკეთო. ვინც ამას პოლიტიკას დაუკავშირებს, კი, ბატონო. ჩემთვის ეს სამშობლოს სიყვარულია. დედამიწის ზურგზე რაც უნდა მოხდეს, პოლიტიკაში ფეხს არასდროს შევადგამ“, – ამბობს გია გაჩეჩილაძე.

ლევან გაჩეჩილაძემ მოღვაწეობა ბიზნესიდან დაიწყო. 1994 წელს, მან კომპანია „Georgian Wines and Spirits“ (GWS) დააფუძნა, რომელიც 1999 წელს, საქართველოს „წლის კომპანიად“ დასახელდა, თავად გაჩეჩილაძემ კი „წლის ბიზნესმენის“ წოდება მიიღო.

პოლიტიკური კარიერა, უფროსმა ძმამ 1999 წელს დაიწყო, ამავე წელს, ის საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. 1999 -2004 წლებში, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“.

ის მალევე გამოეყო უმრავლესობას და დავით გამყრელიძესთან ერთად, შექმნა პარტია ახალი მემარჯვენეები. 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, გაჩეჩილაძე გახდა თბილისის საკრებულოს წევრი, მემარჯვენეების სიით.

2003 წელს, მას პარტიის წევრებისგან განსხვავებული შეხედულება აღმოაჩნდა „ვარდების რევოლუციასთან“ დაკავშირებით, რის გამოც დატოვა პარტიის თავმჯდომარის პოსტი. 2004-2008 წლებში, საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო (თბილისის ვაკის მაჟორიტარი), საარჩევნო ბლოკი „ახალი მემარჯვენეები“. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, გაერთიანებული ოპოზიიციის კანდიდატი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. არჩევნებში ვერ გაიმარჯვა და შემდეგ პოლიტიკასაც ჩამოშორდა.

ბოლო პერიოდში, ლევანს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა.

2018 წელს, თბილისის მთავრობამ, სარეზერვო ფონდიდან, სოციალური სამსახურის შუამდგომლობით, ლევან გაჩეჩილაძეს 30 ათასი ლარი გამოუყო, მაშინ ამ ფაქტს დიდი ამბავი მოჰყვა, მაგრამ რაც მთავრია, ლევანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტაბილურდა.

ჯანმრთელობის პრობლემები უმცროს გაჩეჩილაძესაც ჰქონდა, მან წლების წინ, გულის ოპერაცია გაიკეთა:

„გულის ოპერაციის შემდეგ, თავზე დამეწყო პრობლემები. 9-წლიანმა ცემა-ტყეპამ თავისი შედეგი გამოიღო. დამეწყო ტკივილები, მეხსიერების დაკარგვა და მქონდა წამონაზარდი, როდესაც გერმანიაში, თავზე გადამიღეს, ექიმები გაგიჟდნენ. სერიოზული ტრავმა მქონდა...“ – ამბობდა „უცნობი“ ეკა ხოფერიას თოქ-შოუში“.

* * *

გაჩეჩილაძეებსა და ივანიშვილებს ნათელ-მირონი აკავშირებთ. გია გაჩეჩილაძის შვილმა, ბიძინას გოგონა, გვანცა მონათლა.

„მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილთან ახლო ურთერთობა მქონდა, ჩემმა შვილმა ირინამ, მისი შვილი, გვანცა მონათლა, 20 წელზე მეტია, მასთან ურთიერთობა აღარ მქონია. ბევრი რამ აღარ მომწონდა მისი

მმართველობის პერიოდში, მაგრამ სულ ვიტყვი, რომ მან დიდი უბედურებისგან გვიხსნა. ელემენტარულად, უკეთესი ციხე გვაქვს“, – ამბობდა „უცნობი“ ერთ-ერთ იტერვიუში.

ასეა თუ ისე, ძმები გაჩეჩილაძეების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბიოგრაფიაში, ერთ-ერთი ყველაზე, როგორც იტყვიან, ბურუსით მოცული ეპიზოდი 2008 წლის იანვარია, როცა იპოდრომზე შეკრებილი უამრავი ადამიანი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდა, ძმებმა გაჩეჩილაძეებმა დაშალეს. გავა წლები და „უცნობი“ „პალიტრანიუსის” ეთერში, მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგების დეტალებზე ისაუბრებს.

„მომინახეს მეგობარი, რომელმაც ძალიან მთხოვა, რომ ავსულიყავი შავნაბადაზე, სააკაშვილთან შესახვედრად. ავედით სააკაშვილთან მე და ბიძინა გეგიძე. რომ ავედით, ისხდნენ სააკაშვილი, გივი თარგამაძე, ნიკა რურუა და ა.შ. მთხოვდა, რა გავაკეთო, ოღონდ, ახლა შენ გაჩერდიო, პირდაპირ სიტყვებს გეუბნები, მეტს აღარ ვიზამო, რაც მოხდა, მასეთი აღარ ვიქნებიო. მე ვუთხარი, არ გიჯერებ-მეთქი, მომეცი მთელ საქართველოზე სიხშირე-მეთქი, ტელევიზია გამაკეთებინე-მეთქი და კი, ბატონოო, წაიღეო, როგორც კი ეს ამბავი დასრულდებაო. უბრალოდ, კენია ხო არ ვართო, მილიონი სტუმარი ჩამოდის ინაუგურაციაზეო, ავტეხოთ ახლა სისხლისღვრა, ხო იცი, შეგვიძლიაო და ისეო, რომ თან არავინ გააშუქებსო. კარგი, მომეცი-მეთქი სიხშირე, სხვა რა გზა მქონდა. გამორიცხული იყო, რომ ის ხალხი სისხლისღვრაზე წამეყვანა და წაგვეყვანა... ინაუგურაცია ჩაატარა თუ არა, გადამაგდო მეორე დღესვე“, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ 2020 წელს.

ეკა ბესელია, რომელიც მაშინდელი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იყო, „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას იტყვის, რომ სააკაშვილსა და გაჩეჩილაძის შეხვედრის შესახებ გვიან გაიგო, თუმცა დეტალები, რაც „უცნობმა“ გაახმაურა, არ იცოდა.

„გაოგნებული ვიყავი და ცრემლიც კი წამომცვივდა, როცა ვხედავდი იმ დღეს, ყინულზე მდგომ ათასობით გულნატკენ ადამიანს, რომელიც იმედგაცრუებული დაბრუნდა უკან. მივხვდი, რომ ეს იყო მცდარი გადაწყვეტილება“, – ასე გაიხსენებს ბესელია ე.წ. იპოდრომის აქციის დაშლას.

სანამ „უცნობი“, სააკაშვილთან „პოლიტიკური შარი-შურის“ დეტალებზე თავად ალაპარაკდებოდა, 2010 წელს, გაჩეჩილაძეები „ნაციონალებთან“ გარიგებაში, ნინო ბურჯანაძის მეუღლემ, ბადრი ბიწაძემ ამხილა.

ლევან გაჩეჩილაძე ეროვნულ კრებაში მონაწილეობის სანაცვლოდ, ნინო ბურჯანაძეს 2 მილიონს სთხოვდა. ამის შესახებ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ბადრი ბიწაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალს“ განუცხადა.

„გრეჩიხასთან“ ვზივართ „პადვალში“ ნინო, მე, ეროსი, „გრეჩიხა“, კოკა და მიდის საუბარი. აი, უყურე, როგორი პირობა არის წამოყენებული: მოვდივართ კრებაზე და კოკა გუნცაძე უნდა იყოს შტაბის უფროსი, ეროსი კიწმარიშვილი უნდა იყოს პიარისა და პრესის მიმართულების ხელმძღვანელი და „გრეჩიხა“ უნდა დამჯდარიყო, ფაქტობრივად, ქურდად. ყველა ფინანსური სიტუაცია უნდა გავლილიყო „გრეჩიხას“ ხელში. აი, ასეთი პირობა წამოაყენეს“, – განუცხადა თავის დროზე ბიწაძემ, ერთ-ერთ ქართულ გამოცემას.

მისივე ინფორმაციით, ლევან გაჩეჩილაძე, გია გაჩეჩილაძის, კოკა გუნცაძისა და ბიძინა გეგიძის ფინანსური პრობლემების მოგვარებასაც ითხოვდა. ლევან გაჩეჩილაძის დამარცხების შემთხვევაში კი, ოჯახისთვის დამატებით – 1 მილიონს.

გარდა ამისა, ბიწაძე იმასაც ამბობდა, რომ გაჩეჩილაძე, მისგან და ბურჯანაძისგან 2 მილიონს ითხოვდა, საიდანაც 300 ათასი, „მაესტროს“ აქციების 49%-ის გადასაფორმებლად, მამუკა ღლონტისთვის უნდა გადაეცა. ამასთან, გაჩეჩილაძე ბურჯანაძეს, „მაესტროს“ აქციების 25%-ის გადაფორმებასაც დაპირდა.

ბიწაძე ყვებოდა, რომ გაჩეჩილაძემ 2 მილიონი, საკუთარ „პულკაში“ შესაყვანად, ზურაბ ნოღაიდელსაც მოსთხოვა. ბიწაძე აცხადებდა, რომ ნოღაიდელი, ოპოზიციის ლიდერობის ნაცვლად, 2 მილიონის გადასახდელად მზად იყო.

„ამის შემდეგ, „გრეჩიხამ“ მოაგზავნა კაცი და გვეუბნება, ნოღაიდელი ყიდულობს ამ ტელევიზიას, პლუს, ფულსაც გვიხდის და მერე ნოღაიდელს ჩვენ ვეღარ ვეტყვით უარს ამ ერთობაში შემოსვლაზე, სასწრაფოდ თუ არ გადაიხდით ამ ფულს. ჩვენ ვეუბნებით, რომ ვერ გადავიხდით. „მაესტროს“ 25% რაში მჭირდება, რატომ უნდა გადავიხადო ფული? ჩვენ საბოლოოდ ვეუბნებით, ვიწყებთ სახალხო კრების სიტუაციას და თქვენ უერთდებით თუ არა ამ პროცესს?“, – აცხადებდა ბიწაძე და დასძენდა, რომ ლევან გაჩეჩილაძე, ერთი თვით პროცესებიდან ჩამოშორებაზე საუბრობდა:

„გრეჩიხა“ ამბობს ასეთ რაღაცას, რომ ერთი თვე მე უნდა გავიდე, მოვშორდე ყველაფერს იმიტომ, რომ ფული მაქვს ასაღებიო. თუ შენ ოპოზიცია გაძლევს ფულს, მაშინ, რატომ უნდა მოშორდე ამ პროცესებს? ის პირობას ხომ არ გიყენებს, რომ გაჩერდე? ე.ი ელოდება, რომ ხელისუფლებამ მისცეს ფული“.

ამასთან, ბიწაძემ წლების წინ თქვა, რომ ხელთ აქვს ფურცელი, სადაც ლევან გაჩეჩილაძემ, მიხეილ სააკაშვილს, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამართულ შეხვედრაზე, ჩამოუწერა მოთხოვნები. კერძოდ: **„დროებით, 6 თვით დამნიშნე პრემიერად“, „მინდა ხუთი მილიონი“, „ილია ჭავჭავაძის საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად, მჭირდება საწყისი კაპიტალი 10–12 მილიონი“.**

გარდა ამისა, ლევან გაჩეჩილაძეს, მიხეილ სააკაშვილისთვის მოუთხოვია თინა ხიდაშელის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, რომ ხიდაშელი არის გიგა ბოკერია კაბაში და ის ტყუილად ჰგონიათ ფრთიანი ანგელოზი...

ბიწაძემ მაშინ ერთ-ერთი გამოცემის ჟურნალისტს ისიც უთხრა, რომ სააკაშვილმა გაჩეჩილაძეს, ავანსად, ორი მილიონი გადაურიცხა და დანარჩენზე უარი უთხრა.

* * *

ერთ სიტყვით, ყოველივე ზემოთქმულიდან, ყველას თუ არა, მათ მაინც, რომლებიც ეჭვიანები არიან, გაუჩნდებათ ისეთი განცდა, რომ ძმები გაჩეჩილაძეები პოლიტიკას, პირდაპირ თუ ირიბად, პირადი ინტერესებისთვისაც იყენებენ. ახლა, ეს განცდა, შესაძლოა, სუბიექტური იყოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ „უცნობი“, რომელიც დიდი ხანია, პოლიტიკაში არ ჩარეულია, 9 აპრილს, „საქართველოსა და ქართველების მარადისობის დღეს“ გარკვეული მიზნით აღნიშნავს, უსაფუძვლო სულაც არაა.

რა უნდა იყოს ეს მიზანი?

პოლიტიკურ წრეებში, ზოგი ვარაუდობს, რომ 9 აპრილის შეკრება ჩვეულებრივი „ანტინაცური“ აქცია-პერფორმანსი იქნება ანუ ქუჩაში კიდევ ერთხელ გამოსული ადამიანები, იმ „9 წელს“ დაგმობენ, „უცნობი“ კი „ზევით“, ალბათ, მესიჯს გააგზავნის, აი, ხომ ნახეთ, როგორი საჭირო ადამიანი ვარო.

ისე, კულუარებში ამბობენ, რომ ამ აქციის შემდეგ, მომღერალი, დიდი ალბათობით, სატელევიზიო სიხშირეს მიიღებს. დღეს, „უცნობს“ გადაცემა აქვს, რომელიც მხოლოდ სოციალურ ქსელში გადის...

ასე და ამგვარად, დაველოდოთ 9 აპრილს და, როგორც იტყვიან, წიწილებიც მერე დავითვალოთ...

მამუკა არეშიძე: „ვინ ჩემი ფეხებია, პოზნერი?!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34



„ოპოზიციამ ხელისუფლებას კომპრომისის შანსი არ დაუტოვა!“

რამდენიმე დღის წინ, საქართველოში პუტინის პოლიტიკის პროპაგანდისტი, ჟურნალისტი ვლადიმერ პოზნერი, ამალასთან ერთად, საკუთარი იუბილეს აღსანიშნავად ჩამოვიდა, თუმცა თბილისის დატოვება დაგეგმილზე ადრე, უმწვავესი პროტესტის ფონზე მოუწია. ეს ის პოზნერია, მკაფიოდ რომ თქვა, აფხაზეთი საქართველო ვერასდროს გახდებაო, მაგრამ ახლა, ალბათ, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველო მხოლოდ ელარჯი და ხინკალი კი არა, პირველ რიგში, სახელმწიფოა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ისე, პოზნერის ვიზიტის სკანდალმა სულ ცოტა ხნით გადაფარა საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი და გაურკვევლობა, რომელიც ხალხს აბნევს და ნიჰილისტურს ხდის. ამასობაში კი, ჩვენს რეგიონში მოვლენები საინტერესოდ და სახიფათოდ ვითარდება, რაზეც დასავლეთიდან უკვე არაერთხელ მიგვანიშნეს. ყველა ამ აქტუალურ თემაზე, „ვერსია“ კონფლიქტოლოგსა და ანალიტიკოსს, მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, პოზნერმა პროტესტის ფონზე დატოვა საქართველო და ვფიქრობ, სამართლიანადაც. საინტერესოა, როგორი განწყობა მოჰყვა ყველაფერს რუსეთში?

– სხვადასხვაგვარი. ერთი ნაწილისთვის აღმაშფოთებელი იყო – ეს, ძირითადად, ნომენკლატურა და მასთან დაკავშირებული ჟურნალისტები, ხელოვნების წარმომადგენლები და საზოგადოებრივი აქტივისტები არიან. მცირე ნაწილის ანუ ე.წ. ლიბერალების აღშფოთება კი პოზნერის საქართველოში ჩამოსვლამ გამოიწვია. არის მესამე, ინდიფერენტული საზოგადოება, რომელსაც საერთოდ არ აღელვებს, რაც ხდება. პოლიტიკური ლიდერების განცხადება ცნობილია, რაც მოსალოდნელი იყო. რაც შეეხება პოზნერის წასვლას, იმ 32 კაცში, ნაწილი მოსკოველი ქართველი იყო და ნამდვილად არ გახარებია. საერთოდ, ყველაფერი ეს, სამარცხვინო მგონია – პოზნერის ჩამოსვლაც და აქციაც, რომელიც გაიმართა. დარწმუნებული ვარ, აქციის მონაწილეების გადამწყვეტმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცოდა, ვინაა პოზნერი და რა თქვა, ეს პოლიტიკური დაკვეთა იყო. სასაცილოა ყველაფერი ეს იმ თვალსაზრისით, რომ პოზნერი ბევრჯერ არის თბილისში ნამყოფი და რაც ყველაზე საინტერესოა, ვანო მერაბიშვილმა ჩამოიყვანა ომის შემდეგ, ორ-სამ კვირაში, რათა გაეშუქებინა მოვლენები და შეეფასებინა შექმნილი ვითარება. მაშინ თუ შეიძლებოდა, ახლა არ შეიძლება?!. კარგად მახსოვს, ჩემი და ჩემი კახელი მეგობრების აღშფოთება, როცა მიხეილ მაჭავარიანი გამოჭიმული იყო მიხალკოვის სუფრაზე – მიხალკოვმა შენიშვნა მისცა, გააჩუმა სააკაშვილი, როცა თამადა საუბრობდა. თუ მიხალკოვისთვის, რომელიც იმპერიის კლასიკური ბურჯია, შეიძლება, პოზნერისთვის რატომ არ შეიძლება?

– პოლიტიკური ნარატივისგან რომ დავიცალოთ და ცალკე აღებულ ფაქტად შევაფასოთ, პოზნერმა განაცხადა, აფხაზეთი საქართველო არ არის და არც იქნებაო, ამის შემდეგ, ასე თავისუფლად რომ ჩამოდის და არღვევს კანონს ოკუპაციის შესახებ, ნორმალური გგონიათ?

– რასაკვირველია, პოზნერი არ უნდა ჩანმოსულიყო, ვინ ჩემი ფეხებია, საერთოდ, პოზნერი?! მას პირადად ვიცნობ და გაწყვეტილი მაქვს ურთიერთობა 2006 წლის შემდეგ, როცა არასწორი შეფასებები დაიწყო ქართველებზე. ისევე, როგორც მაქსიმ შევჩენკოსთან გავწყვიტე ურთერთობა, მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა პოზიცია და ახლა პირიქით საუბრობს. მაშინ კი იმპერიის მეხოტბე ჟურნალისტი იყო

მოკლედ, მისი ჩამოსვლა არ შეიძლება და ჩემთვის მიუღებელია, რა განცხადებაც აფხაზეთთან დაკავშირებით გააკეთა, მაგრამ ვინც დუმაში პირველი ადგა ფეხზე და რუსეთის მიერ აფხაზეთის ცნობას ტაში დაუკრა, იმას აქვს უზარმაზარი ბიზნესი ბათუმში და ჩახუტებულია, როგორც წინა, ასევე, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ეს არის რუსეთის დუმის დეპუტატი, არშბა, წარმოშობით ბათუმელია, სამი სასტუმრო აქვს ბათუმში. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდების ბედი მაწუხებს, რადგან მათ ატყუებენ. რომ გააჩერო და ჰკითხო, ვინ არის არშბა, ვერავინ გეტყვის. პოზნერის ასე მიღება და კომენდანტის საათის დარღვევა არ შეიძლეობდა, მაგრამ რატომ ატყუებ ამ ახალგაზრდებს, რომ პოზნერშია, თურმე, მთავარი უბედურება?! ეს კლასიკური პოლიტიკური დაკვეთაა, იმის მაგივრად, რომ ყველას მიმართ ერთნაირად მოიქცე, იქცევი ერთი პირის მიმართ იმიტომ, რომ დღეს ასე გაწყობს.

– პოლიტიკური ინტერესები ახსენეთ და გკითხავთ, დანიელსონის ორჯერ მცდელობის მიუხედავად, ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ შეთანხმდა. არ ფიქრობთ, რომ ამ გაურკვეველი ვითარებით, საზოგადოება დაბნეულია?

– ქართლის ერთ დიდ სოფელში ვიყავი, პირობითი საზღვრისგან მოშორებითაა. იქ ასაკოვანმა ხალხმა მითხრა, რატომ უნდა ვცეთ პატივი ევროპას, ჩვენი პოლიტიკოსები არ სცემენ, ისევ რუსებთან გვინდა ურთიერთობაო. შიში აქვთ და ამას იმიტომ ამბობენ, მაგრამ ევროპასთან დაკავშირებული ნათქვამი კატასტროფაა. ის ხალხი ვართ, ვინც თავის დროზე, ნატო-ში გაწევრიანებას მივეცით ხმა, მაგრამ ვხედავთ, რომ ახლა არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება უწევს ანგარიშს და ჩვენ რატომ უნდა გავუწოთო? ამაშია საქმე, დისკრედიტაცია ხდება ჩვენი ევროპული გეზის და ამაში დამნაშავეა, როგორც ხელისუფლება, ასევე, ოპოზიცია. ოპოზიცია, რომელიც პოზიციონირებს, რომ განსაკუთრებით პროევროპულია, ხელისუფლება კი – პრორუსული. თუ ასეა, ევროპული გეზის დისკრედიტაციას რატომ ახდენენ?

– ხელისუფლებას უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს დასავლეთი...

– რასაკვირველია, ხელისუფლებაზე ყოველთვის მეტი პასუხისმგებლობაა და ამას ბოლო გზავნილიც მოწმობს, მაგრამ ოპოზიცია, მიხეილ სააკაშვილის ლოცვა-კურთხევით, ბევრად უფრო ძლიერადაა მომზადებული პიარის თვალსაზრისით, ისე გადაფარავენ გუშინდელ ნათქვამს, ვითომ ასეც უნდა იყოს. ესენი რომ ამბობდნენ, არჩევნები ტოტალურად გაგვიყალბესო, ევროპა ეუბნებოდა, არ გაყალბებულაო. დღეს კი ამაზე აღარაა ლაპარაკი და საუბრობენ, რომ ხელისუფლებამ ხელი არ მოაწერა დოკუმენტს. ხელისუფლებას აქვს თავისი წილი სერიოზული პასუხისმგებლობა, მაგრამ მთელ პოლიტიკურ ელიტას აქვს თავისი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ევროპული იდეის დისკრედიტაცია განახორციელეს.

– გამოსავალს ხედავთ ამ ჩიხიდან?

– ვეღარ ვხედავ, ისე მაღლა ასწია ორივე მხარემ თამასა, რომ უკან ვეღარ ჩამოდიან. მივაღწევთ იმას, რომ ეს ქვეყანა დაინგრევა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ფინანსური დახმარება შეწყდება ევროპიდან, გზა ჩაგვეკეტება და ორიენტირები დაიკარგება. ახლა რომ არჩევნები დაინიშნოს, თუ ჰგონია ოპოზიციას, რამე შედეგს დადებს, ძალიან ცდება, ნაციონალური მოძრაობის გარდა, რომელსაც თავის ამომრჩეველი ჰყავს.

– ანუ ხალხმა დაკარგა ნდობა ოპოზიციის მიმართ?

– ოპოზიციის კი არა, საერთოდ, პოლიტიკის მიმართ დაკარგა. ნიჰილისტური გახდა განწყობა და ასეთი მაღალი დონის მოთხოვნა მესამე ძალაზე, საქართველოში არ მახსოვს. მოკლედ, სიტუაციიდან კარგი გამოსავლის გზას ვერ ვხედავ იმიტომ, რომ კომპრომისის უნარი არც ერთ მხარეს აქვს . ოპოზიციამ ხელისუფლებას კომპრომისის შანსი არ დაუტოვა, იქ არის ცალსახა პირობა – პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და რიგგარეშე არჩევნები. ჯერ ერთი, არც ერთი მიმაჩნია პოლიტპატიმრად. ხელისუფლებას ვაკრიტიკებ იმ ნაწილში, რომ ნიკა მელია მაშინ არ დააკავა, როცა დასაკავებელი იყო. რევერანსები საჭირო არ იყო, ჩვენ ასე გვაკავებდნენ წლების განმავლობაში. დანაშაულის ჩადენის მომენტში უნდა დაეკავებინათ, თუმცა პოლიტპატიმრების თემა მოგვარებადია. რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან იმ დონის გაყალბება არ მომხდარა, რომ ეს თემა დათმო, თან ამ გაღატაკებულ ქვეყანაში, დამატებითი არჩევნებისთვის სერიოზული თანხის გამოყოფა სწორად არ მიმაჩნია.

– კი, მაგრამ თუ არსებულ პოლიტიკურ კრიზისის გაწმუხტავდა და იმ საფრთხეს მოხსნიდა, რაზეც საუბრობთ, ვადამდელის წინააღმდეგი მაინც ხართ?

– ვერ განმუხტავს. გარანტია არსებობს, რომ თუ ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები, ოპოზიცია ისევ არ იტყვის, გაყალბდაო? მიხეილ სააკაშვილს აქვს მიცემული მკაცრი და მკაფიო დავალება – „ნებისმიერ შემთხვევაში, დაიბრუნეთ ხელისუფლება“. ახლა არის ამისთვის ყველაზე კარგი დრო. რადიკალურ ოპოზიციას არც რიგგარეშე არჩევნები აინტერესებს და არც – პოლიტპატიმრები, მისი ფორმულაა – „მოგვეცით ხელისუფლება“.

– ბოიკოტს, ნაციონალური მოძრაობის გარდა, სხვა ოპოზიციური პარტიებიც აცხადებენ...

– ოპოზიციური პარტიები, „გირჩის“ გარდა, ნაციონალური მოძრაობის ნარატივითაა და სხვა გამოსავალი არც დაიტოვეს. ე.წ. ფანჩატურში, ყველა „ნაცმოძრაობის“ დღის წესრიგით მოქმედებს.

– ბატონო მამუკა, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, ვადამდელ არჩევნებზე წავიდა სომხეთის პრემიერ-მინისტრი. როგორი ვითარებაა ახლა სომხეთში?

– ვადამდელ არჩევნებზე წავიდა და დარჩა პრემიერის მოვალეობის შემსრულებლად. ადმინისტრაციული ბერკეტი დაიტოვა, ასე მიშამაც დანიშნა და დაგვახია თავზე ის არჩევნები. თუ გადადექი, წადი და მიეცი დამოუკიდებელ ცესკო-ს საშუალება, რომ კანონის მიხედვით ჩაატაროს არჩევნები. როცა ადმინისტრაციული რესურსი გაქვს, გადადგომაზე ლაპარაკი თვალთმაქცობაა. სომხეთში 15-ვე პარტიის ხელმძღვანელობას ვიცნობ, იქ ოპოზიცია მიუღებელია საზოგადოებისთვის და რესურსი აღარ ჰქონდათ, გაეგრძელებინათ პროტესტი, არგუმენტიც გამოაცალათ ფაშინიანმა და ვნახავთ, ივლისში რაც მოხდება.

გარდა ამისა, ახალი სიურპრიზი მომზადდა ოფიციალური ბაქოს მხრიდან – ეს არის ისკანდერის თემა, რომელიც სომხეთის შეიარაღებაში არ იყო და რომლის ნარჩენებიც აღმოაჩინეს. ე.ი. რუსები ესროდნენ აზერბაიჯანელებს და ამას რა ამბავიც მოჰყვება, ნახავთ. პრაქტიკულად, ახლა მიდის თურქიზაციის თემა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ამ ნაწილში. თურქები ნელ-ნელა ინიციატივას ხელში იღებენ და ბაქო საყვედურობს რუსეთს. ისკანდერის თემასთან ერთად, მეორე საკითხი ისაა, რომ 1 960 ჯარისკაცის მაგივრად, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს უნდა ჰქოლოდა ყარაბაღში, დღეს ჰყავს 5 000. პრაქტიკულად, ახალი პოლიტიკური ესკალაცია იწყება. საერთოდ, ჩვენი რეგიონი ბომბზე ზის. დონბასში, ყარაბაღსა და სამხრეთ კავკასიაში, დასავლეთის ფეხის ამოკვეთა ხდება... დასავლეთი იმიტომ გვთხოვს სტაბილურობას, რომ საქართველო ბაზად სჭირდება სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში დასაბრუნებლად და არა – იმიტომ, რომ აინტერესებს, ვინ შევა პარლამენტში და ვინ გამოვა.

– ბატონო მამუკა, ისიც მითხარით, რატომ გამწვავდა ვითარება უკრაინაში?

– ყარაბაღმა ჩვენ არა, მაგრამ სხვებს მისცა მაგალითი, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს... კრემლმა წინასწარ განსაზღვრა, რომ სავარაუდოდ, უკრაინელები მოინდომებდნენ იმავეს გაკეთებას, რაც აზერბაიჯანმა გააკეთა. უკრაინელები ამას აპირებდნენ თუ არა, უცნობია, ესკალაცია რუსეთმა წამოიწყო, მაგრამ უკრაინელებმა მოაყარეს მაშინვე არმია. ასე რომ, ორივე მხრის გარკვეულმა ნაბიჯებმა გამოიწვია ვითარების დაძაბვა. საკმაოდ რთული ვითარებაა და ჩვენ რითიც ვართ დაკავებულნი, უკვე ვთქვი...

თათია გოჩაძე
598-43-50-34

კახა კუკავა: „ექვსი თვეა, ოპოზიცია და ხელისუფლება ერთ ადგილას „ბუქსაობს“

„საზოგადოების განათლებული, მოაზროვნე ნაწილი პოლიტიკას ჩამოსცილდა და პოლიტიკაში დარჩნენ ექსტრემისტები!“

საქართველოში კვლავ პოლიტიკური კრიზისია. ევროპიდან მოვლენილმა დიპლომატმა, კრისტიან დანიელსონმა, მეორე მცდელობის მიუხედავად, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმება ვერ შეძლო. მმართველი ძალა უკან არ იხევს და ვადამდელი არჩევნების თემას დახურულად აცხადებს, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი კი 15 მაისის მასშტაბური აქციისთვის ემზადება. რა გეგმა აქვს და მონაწილეობს თუ არა ოპოზიციის სტრატეგიის შემუშავებაში „თავისუფალი საქართველო“, – „ვერსია“ პარტიის ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა:

– ლეიბორისტული პარტიის ფორმატი ძალიან ფორმალურია. კი, ბატონო, ვართ იმ ფორმატში, მაგრამ ამასთან, არის ე.წ. ბარიერგადალახულების ვიწრო შტაბებიც, სადაც არ ვართ, არადა, რეალური გადაწყვეტილებები იქ მიიღება და სტრატეგიასაც იქ შეიმუშავებენ. ეს ბარიერგადალახული პარტიების ერთგვარი კოალიციაა და რადგანაც იქ წარმოდგენილი არ ვართ, ოპოზიციის სტრატეგიაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

– გამოდის, ე.წ. ლეიბორისტების ფორმატი ბარიერგადალახული პარტიებისთვის შირმაა, რომ შეიქმნას განცდა, აი, ოპოზიცია ერთიანიაო?

– შირმას არ დავარქმევდი. ძირითად საკითხში, რომ ივანიშვილი უნდა წავიდეს და დაინიშნოს თავისუფალი არჩევნები, ვთანხმდებით. ამით ამოიწურება ამ ფორმატის ფუნქცია. ვის როგორ წამოუდგენია ამ მოთხოვნის მიღწევა, რაღაც შტაბებში წყდება, სადაც ჩვენ არ ვართ, შეიძლება, რამდენიმე გუნდიც იყოს. აშკარაააა, რომ ცალკე ნაციონალური მოძრაობის ოფისია, ცალკე – ლელო და სტრატეგია აღმაშენებელია, თუმცა შირმა არ არის ეს ფორმატი, რადგან ძირითადი საკითხის ანუ ქაღალდზე დაწერილი პუნქტის, რომ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, რა თქმა უნდა, მოზიარე ვართ.

– გასაგებია, მაგრამ როცა ლეიბორისტული პარტიის ოფისში ოპოზიციონერი ლიდერები იკრიბებით, ჩნდება განცდა, რომ ოპოზიცია ერთსულოვანია გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიის შემუშავებაში. გამოდის, რომ ასე სულაც არაა.

– სტრატეგიებზე იქ არ ვმსჯელობთ, აქციების შესახებ, ძირითადად, სმს-ებით ან ტელევიზიით ვიგებ ხოლმე და ასეა სხვა პარტიებიც, რომელთაც ე.წ. ბარიერი არ გადაულახავთ.

– აბა, თქვენ, ბარიერგადაულახავი პარტიები რას აპირებთ?

– ჩვენი რესურსი და მოქმედების არეალი შეზღუდულია და რაც შეგვიძლია, იმაზე უნდა ვისაუბრო. ვფიქრობ, დღის წესრიგში მაინც დგას ე.წ. მესამე ძალის საკითხი. შეიძლება, ეს ტერმინი ზოგს არ მოსწონს, მაგრამ საზოგადოების ზომიერი ნაწილი დღეს პოლიტიკაში არ მონაწილეობს. პრობლემა უფრო ღრმაა, ვიდრე მარტო „ოცნებისა“ და „ნაცების“ დაპირისპირება. სამოქალაქო ომმა, ყველაფერ ცუდთან ერთად, ის შედეგი მოიტანა, რომ საზოგადოების განათლებული, მოაზროვნე ნაწილი პოლიტიკას ჩამოსცილდა. არავის უნდოდა ჯაბასთან და შემდეგაც არაფერი ხდებოდა უკეთესი. მოხდა ისე, რომ პოლიტიკაში დარჩნენ ექსტრემისტები. დღესაც, მეტწილად, ასე გრძელდება, იგივე ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს და იგივე ხდება დღესაც.

– ბატონო კახა, პოლიტიკაში თქვენც ხართ და რა, საკუთარ თავს ექსტრემისტად მოიაზრებთ?

– არა! უმეტესობა ვიგულისხმე. მე და რამდენიმე პარტია, ვინც ექსტრემისტები არ ვართ, სწორედ იმიტომაც ვერ ვსხდებით არსებულ სურათში. ელექტორატი, რომელმაც ჩვენ უნდა მოგვცეს ხმა, პასიურია. სამაგიეროდ, აქტიურია ის ხალხი, რომელსაც უნდა მოუწოდო, დავანგრიოთ, ავაფეთქოთო... ამან ძალიან დაატყო ხელი ჩვენს სახელმწიფოს. პოლიტიკური ელიტა დაბალგანვითარებული, დაბალი კულტურის მქონეა. ქვეყნის პირველი პირები ვინ არიან? – ეს ხომ ფსკერია. მესამე ძალამ უნდა დააბრუნოს საზოგადოების ზომიერი ნაწილი პოლიტიკაში და ეს ექსტრემისტები და მარგინალები შეყაროს სოროებში. აშკარად ვერ გამოვედით პოსტსაბჭოთა ისტერიიდან, როცა პოლიტიკაში ორპოლუსიანობაა და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი რომელს გაუმკლავდება, შედეგი იდენტური იქნება. ამიტომაა აუცილებელი ზომიერი პოლიტიკური ძალის გამოჩენა. არ შეიძლება, პოლიტიკა იყოს კრიმინალურ ჯგუფებს შორის ანგარიშსწორების წესებით მიმდინარე პროცესი.

– და ამას როგორ აპირებთ?

– მარტო ამას ვერ შევძლებ. მიმაჩნია, რომ ეს არის სწორი და მივიღებთ ამაში მონაწილეობას, თუ ამის შესაძლებლობა გაჩნდა.

– ანუ გაერთიანდებით პარტიებთან, რომლებიც „ოცნებასთან“ და „ნაციონალებთან“ ასოცირებულნი არ არიან?

– სასურველი იქნებოდა.

– კი, მაგრამ ასეთ პარტიად საქართველოში რომელს მოიაზრებთ?

– არც ერთს და ამით დავიწყე საუბარი. დღეს ამის წინაპირობა არ არსებობს, ამის რესურსი მწირია, თუმცა ამის გარეშე, ამ ჩიხიდან ვერ გამოვალთ. არც იმას ვამბობ, „ქოცებს“ და „ნაცებს“ არ გავეკარები-მეთქი. როცა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გახდა ნიკა მელია, განვაცხადე, მომწონს მისი მიდგომა, რომ ძველი ჩატეხილი ხიდების აღდგენა უნდა მოხდეს-მეთქი. მელია, დროებით „აფსაიდშია“, თუმცა დღის წესრიგიდან ეს საკითხი მოხსნილი არაა.

– მახსოვს, ოპოზიციამ ბოიკოტი რომ დაიწყო, თქვენთან ინტერვიუ ჩავწერე და თქვით, ე.წ. შუაშისტობის დრო აღარაა, თუ ხელისუფლების დამარცხება გვინდა, ნაციონალური მოძრაობის გვერდითაც დავდგებიო. ახლა მექმნება შთაბეჭდილება, რომ „ტონი“ შეგეცვალათ და იმედგაცრუებული ხართ...

– კი, ნაწილობრივ დაგეთანხმებით. შუაშისტობის დრო იმ საკითხში, რომ ივანიშვილი უნდა წავიდეს, ნამდვილად არაა და ზუსტად ამიტომ ვთქვი, რომ მიუხედავად იმისა, არ ვმონაწილეობთ ოპოზიციის სტრატეგიების შემუშავებაში, განაწყენებული არ ვართ, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის მონაწილე ვართ და ვიქნებით, თუმცა გარკვეული იმედგაცრუება, დიახ, არის და ეს განსაკუთრებით მელიას დაპატიმრების შემდეგ გახდა ცალსახა. სამწუხაროდ, ოპოზიციური აქტივობების დიდი ნაწილი, საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც წინა ხელისუფლების რევანში. ეს კი, ჩემი აზრით, სტრატეგიული შეცდომაა და ამას ქართველი ხალხი მხარს არ დაუჭერს, რაც გამოჩნდა ბევრ აქციაზე. ნებისმიერ მცდელობას, წავიდეს ივანიშვილი და ეს გაიგივდეს წინა ხელისუფლების დაბრუნებასთან, საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერა არ ექნება. ვესაუბრე ამაზე რამდენიმე ოპოზიციონერს, მაგრამ წყლის ნაყვაა.

ადამიანები აქციაზე რატომ არ მიდიან? – იმიტომ, რომ სახეებისა და მესიჯების 99% რევანშისტულია. საშუალო სტატისტიკური ქართველი მივა აქციაზე ივანიშვილის გადაყენების მოთხოვნით, თუ ექნება გარანტია, რომ წინა ხელისუფლება არ დაბრუნდება. ამის ერთგვარი პირობა იყო ნიკა მელია, რომელიც მკაფიოდ ემიჯნებოდა იმ რეჟიმის სახეებს, დღეს კი ეს ფაქტორი ჩაიკარგა. 15 მაისის აქცია რომ დაანონსდა, თითქმის არც ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი არ ესწრებოდა.

– ბატონო კახა, ისევ არის კულისებში მითქმა-მოთქმა, რომ გარკვეული პარტიები პარლამენტში შევლენ, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

– კი, არის ამაზე საუბარი... დანიელსონის მიერ დატოვებულ დოკუმენტზე ხელისუფლებამ ხელი რომ არ მოაწერა, ისეთი ისტორიული სიბრიყვეა, რისთვისაც „ოცნება“ დაისჯება. იმ დოკუმენტით, 5:0-ს უგებდა ხელისუფლება ოპოზიციას. ერთი, ის არ ეწერა, რომ ოპოზიციის ლიდერები სიკვდილით უნდა დაესაჯათ, თორემ მეტი ყველაფერი ეწერა და ამასაც არ მოაწერა ხელი მმართველმა ძალამ. შესაბამისად, ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში იმიტომ კი არ შედის, რომ ოპოზიციაში არაა ხალხი, ვისაც ეს უნდა, არამედ, ხელისუფლებას იმდენად ბრიყვული და პრიმიტიული მიდგომა აქვს ამ საკითხის მიმართ, რომ ხალხსაც კი, ვისაც შესვლა უნდა, კარს ვერ უღებს. ოპოზიციის „ჩატში“ გულწრფელად ვიკითხე, კიდევ ხომ არ იყო საკითხი, რაც ქაღალდზე არ წერია, რატომაც არ მოაწერა ხელი ხელისუფლებამ-მეთქი და მიპასუხეს, კომიტეტის თავმჯდომარის პოსტების დათმობა არ უნდოდათო. ეს წარმოუდგენელი ამბავია, როცა მილიარდებს იპარავენ ბიუჯეტიდან 9 წელია და არ დათმეს კომიტეტის თავმჯომდარის პოსტი, რომელსაც 500 ლარით მეტი ხელფასი აქვს, რიგით დეპუტატზე.

– ბატონო კახა, ამომრჩეველი ისედაც დაბნეულია და ახლა, თქვენს ინტერვიუს რომ წაიკითხავს, შეიძლება, უფრო დაიბნეს – ვის უნდა მისცეს ხმა?

– ამომრჩეველი უკვე დაბნეულია, მე ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. რომ ვხედავდე, 100 000 კაცი დგას მიტინგზე და ივანიშვილის გადადგომა რეალურია, შეიძლება, არც მომეცა თქვენთვის ეს ინტერვიუ, რათა ბზარი გარეთ არ გამომეტანა, მაგრამ ფაქტია, ექვსი თვეა, ოპოზიცია და ხელისუფლება ერთ ადგილას „ბუქსაობს“. დავნიშნოთ გრანდიზული აქცია 15 მაისს, მოვა იმდენივე ხალხი, რამდენიც წინა აქციაზე. მერე ახალი გრანდიოზული აქცია დავნიშნოთ... მარტივი ამბავია, თუ შესაკრებებს არ შეცვლი, ჯამი ერთი და იგივე იქნება. არც ოპოზიციას ვუპირისპირდები, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ უნდა გაფართოვდეს ფრონტი და გამრავალფეროვანდეს, რადგან მასას, რომელიც არ გამოდის აქციაზე, ამ „მენიუში“ არც ერთი უნდა. „მენიუში“ ან ახალი „პროდუქტი“ უნდა შეიტანო, ან შევა სხვა „რესტორანში“.

– ანუ 15 მაისის აქციას ემიჯნებით?

– არ ვემიჯნები, აქციაზეც ვიქნები და ივანიშვილის გადადგომის მოთხოვნასაც დავუჭერ მხარს, მაგრამ თუ სამიათასმეორე კაცი ვიქნები, ჩემს იქ ყოფნას აზრი არ ექნება. მაინც მივალ და იმავე აზრზე ვარ, რომ სადაც ივანიშვილის რეჟიმის დემონტაჟისთვის საქმე გაკეთდება, ყველგან ვიქნები, მაგრამ როცა ვხედავ, რომ საქმე წაგებისკენ მიდის, არ ვილაპარაკო და არ ვთქვა, რომ რაღაც შესაცვლელია?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის ფული გაფლანგეს!

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, დარღვევები პრივატიზაციასა და ავტოპარკის მართვაში – აუდიტის სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ, 2018-2019 წლებში, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობას ეხება. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები დარღვევებით განხორციელდა. გარდა ამისა, პრობლემები გამოიკვეთა, როგორც ქონების პრივატიზაციაში, ასევე, სახელმწიფო ავტოპარკის მართვაში. მეტიც, დედოფლისწყაროს საკრებულოს არათანამდებობის პირები ხელფასსაც კი დარღვევებით, უფრო ზუსტად, უკანონოდ იღებდნენ.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2018-2019 წლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, მაგრამ ამჯერად, კულტურის სახლის შენობის ნაწილის გადახურვა განვიხილოთ. ამ სამუშაოს შესასრულებლად, 2019 წელს, შპს „გეოინჟინერინგთან“ გაფორმდა ხელშეკრულება და ეს სამუშაო სოფელ ზემო მაჩხაანში უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოს ღირებულება 10 000 ლარი იყო, თუმცა სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ რეალურად, 7 800 ლარი დაიხარჯა.

„ამ სამუშაოს შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი. ინსპექტირების ჯგუფის დადებითი შეფასებების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა მათი ღირებულება. აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი და უხარისხოდ შესრულებული სამუშაო გამოავლინა. კერძოდ, შენობის ახლად გადახურული ნაწილიდან ჩამოდის წყალი და ზიანდება შენობის კედელი. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმირებული იყო მერიის წარმომადგენელი, მაგრამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები არ გატარებულა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

როგორც სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, ზემო მაჩხაანის კულტურის სახლის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები იმიტომ დაზიანდა, რომ სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა. მეტიც, აუდიტორების დასკვნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა კონტროლის პროცედურები ისე წარმართეს, რომ 7 800 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი ჩაიბარეს, რომელიც უხარისხოდ იყო შესრულებული. შედეგად, სამუშაოები დაზიანებულია, კულტურის სახლს კი დამატებითი რეაბილიტაცია სჭირდება.

ხარვეზები ქონების პრივატიზაციაში

დარღვევები გამოვლინდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციაშიც. 2018 წლის 2 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულება გააფორმა მუნიციპალიტეტის სოფლებში სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოსაწყობად. კერძოდ, სოფელ ხორნაბუჯში, მეგობრობის ქუჩაზე მდებარე მინი-სტადიონის რეაბილიტაცია უნდა განხორციელებულიყო; სოფელ სამრეკლოში – მინი-სტადიონის რეაბილიტაცია; სოფელ ზემო ქედში – „ქსნელების“ სტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ ქვემო ქედში – მინი-სტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ ფიროსმანში კი, არსებულ სტადიონზე – ფრენბურთის მოედანი, გადახურული ტიპის სატრენაჟორო მოედანი და მოედნის განათების მოწყობის სამუშაოები. ამ ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა შეესრულებინა შპს „სტანდარტი-ა“-ს, ხოლო ღირებულება – 61 000 ლარი იყო.

„საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ მიმწოდებელს აღნიშნული სამუშაოები არ შეუსრულებია. აღსანიშნავია, რომ მიზეზები, რის გამოც მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფდა სამუშაოების დასრულებას, არ არის სათანადოდ არგუმენტირებული. წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპანიას გააჩნდა ფინანსური პრობლემები. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს ხელშეკრულება შეუწყდა სამუშაოების დასრულების ვადის გასვლიდან 9 თვის შემდეგ. დედოფლისწყაროს მერიასა და შპს „სტანდარტი-ა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები არ შესრულებულა. შესაბამისად, მერიამ პროცესი ვერ წარმართა იმგვარად, რომ დროულად დაესრულებინა სამუშაოები – მუნიციპალიტეტმა სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისა და გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, მიმწოდებელს დაარიცხა საჯარიმო სანქცია 3 900 ლარი, რომელიც გადახდილია. ამასთან, სამუშაოების შეუსრულებლობისათვის, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, მიმწოდებელი შეყვანილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „შავ სიაში“. უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად, ახალი ტენდერი არ გამოცხადებულა, პროექტი კი შეჩერებულია“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2018-2019 წლებში, მუნიციპალიტეტმა განახორციელა 11 ობიექტის პრივატიზაცია. გასხვისებული ობიექტების ჯამური ღირებულება 62 900 ლარი იყო. მუნიციპალიტეტმა ყველა შემთხვევაში გამოიყენა საჯარო აუქციონის ფორმა. საწყისი საპრივატიზებო ღირებულების დადგენა ხორციელდებოდა აუდიტორის შეფასების საფუძველზე. ვაჭრობის პროცესი უკონკურენტო გარემოში მიმდინარეობდა და პრეტენდენტები მხოლოდ ერთი ბიჯის მომატებით იმარჯვებდნენ. შედეგად, ობიექტების ჯამური საწყისი საპრივატიზებო ფასი – 59 900 ლარი, მხოლოდ 5%-ით გაიზარდა. აქედან გამომდინარე, მერიამ, ელექტრონული აუქციონის ფორმის გამოყენების საშუალებით, უფრო მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ქონების გასხვისების პროცესში, ელექტრონული აუქციონის უპირატესობების ნაცვლად, საჯარო აუქციონის ფორმას ირჩევდნენ, რაც მუნიციპალიტეტის შემოსავლებზე უარყოფითად აისახა. აუდიტორების მტკიცებით, ორ შემთხვევაში, ქონების შემძენმა პირებმა დაარღვიეს ხელშეკრულების პირობები – ერთ შემთხვევაში, არ არის შესრულებული ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მეორე შემთხვევაში, დიდი დაგვიანებით შესრულდა. მიუხედავად ამისა, მერიას არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ქონებრივი ინტერესების დასაცავად.

ხარვეზები ავტოპარკის მართვაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, საშუალოდ, 26-30 ერთეულით აღემატებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

სამორიგეო და განპიროვნებული ავტომანქანების გარდა, 2018 წელს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი საწვავს ყოველთვიურად გასცემდა საჯარო მოსამსახურეების მფლობელობაში არსებულ 23 ავტომანქანაზე, ხოლო 2019 წელს – 24 ავტომანქანაზე. პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, 26 400 ტონა საწვავი გასცეს, რაც 60 100 ლარი დაჯდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირები ხელფასს დარღვევით იღებდნენ. კერძოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, 2018-2019 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, 92 900 ლარი მიიღეს, აქედან 2018 წელს – 47 600 ლარი, ხოლო 2019 წელს – 45 300 ლარი. საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა – ყოველთვიურად, 375 ლარის ოდენობით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ, უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც მუნიციპალიტეტს არ წარმოუდგენია“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2018-2019 წლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 92 900 ლარი გასცა, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე და საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ!

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

2018-2019 წლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორები მიიჩნევენ, რომ არსებობს რისკი, რათა შესაბამისი რეაგირების გარეშე, მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება დაიკარგოს ან დაზიანდეს.

კრიპტოვალუტის მაინინგის მაფია ოკუპირებებულ აფხაზეთში

ბათო ჯაფარიძე

აფხაზეთში, ახლა ზუსტად იგივე მდგომარეობაა, როგორიც ჩვენთან, 90-იანებში იყო. იმის მიუხედავად, რომ ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთს უფასოდ გადაეცემა, ელექტროენერგიის ტარიფი კი კილოვატზე, სიმბოლური, დაახლოებით, ორი თეთრია და ამასაც არავინ იხდის, ოკუპირებულ აფხაზეთში, ელექტროენერგიაზე გრაფიკია დაწესებული და სეპარატისტული ხელისუფლება მასაც ვერ იცავს. მიზეზი მარტივია – უფასო ენერგიის პირობებში, აფხაზეთში კრიპტოვალუტის წარმოება დაიწყეს. ტერმინი „კრიპტოვალუტის მაინინგი", ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყველამ იცის – ბავშვიდან დაწყებული, პენსიონერით დამთავრებული და რეალურად, დღეს იქაური მოსახლეობის მთავარი შემოსავლის წყაროა. არადა, მთელი აფხაზეთის მასშტაბით, დღის განმავლობაში, ელექტროენერგია, მინიმუმ, 6 საათით ითიშება, თუმცა არც ეს არის კონკრეტული ციფრი. კრიპტოვალუტის მინი-ფერმებს იმდენი დენი მიაქვთ, მოსახლეობას 6-საათიანი გრაფიკიც სანატრელი აქვს.

როგორ შოულობენ ფულს რუსი ოლიგარქები თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში და რატომ არ აპროტესტებს მოსახლეობა დენის გრაფიკს

„ოფიციალური მონაცემებით, ენგურჰესიდან მიღებული ელექტროენერგიის 80%-ს, სწორედ ეს მინი-ფერმები მოიხმარენ. კვირის განმავლობაში, სამართალდამცავები 200-ზე მეტ არალეგალურ ფერმას ავლენენ, აპარატურას კონფისკაციას უკეთებენ, მაგრამ უშედეგოდ. ყოველდღიურად, რამდენიმე ახალი ათეული ფერმა ჩნდება. ეს მარტივი გასაგებია – კრიპტოვალუტის გამომუშავებისთვის საჭირო აპარატურა, დაახლოებით, 700 დოლარამდე ღირს და ზუსტად ამდენივეს ერთ თვეში გამოიმუშავებს ანუ თუ მოახერხე და ერთი თვე ამუშავე აპარატი, მინიმუმ, გადახდილ თანხას ამოიღებ", – გვეუბნება აფხაზეთში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოქალაქე.

სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ყველაფერი კანონის ჩარჩოებში მოექცია, ამიტომ კრიპტოვალუტის მაინინგი კანონით დაუშვა და მათთვის დენის გადასახადი გააძვირა, თუმცა სიმბოლურად – 1.5 ცენტამდე 1 კილოვატი, მაგრამ ამან შედეგი არ მოიტანა – ფულს მაინც არავინ იხდიდა. ამიტომ, გასული წლის დეკემბერში, კრიპტოვალუტის მაინინგი ოფიციალურად აიკრძალა და „ფერმებზე" ნადირობის სეზონიც დაიწყო.

რაც ყველაზე საინტერესოა, იმ დაწესებულებებზე, სადაც კრიპტოვალუტის გამოსამუშავებელი დანადგარები დგას, ნადირობენ, როგორც სამართალდამცავები, ასევე – კრიმინალები. ისინი იპარავენ დანადგარებს და ან შავ ბაზარზე ყიდიან (მარტივად იყიდება), ან საკუთარ, არალეგალურ ფერმებში მიაქვთ და იქ ამუშავებენ.

„ყველაფერ ამაში საინტერესო ის გახლავთ, რომ დიდი ფერმების უკან, რუსი ოლიგარქები დგანან, ისინი მილიონებს დებენ კრიპტოვალუტის გამომუშავებაში და, რაღა თქმა უნდა, თანხას დაცვისთვისაც იხდიან. სწორედ ეს დიდი ფერმები მოიხმარენ ენერგიის დიდ ოდენობას და ამის გამოა, რომ მოსახლეობას დენი, უბრალოდ, არ ჰყოფნის. კრიმინალებისთვის ასეთი ფერმები ნამდვილი სამოთხეა და ისინი ხშირად ძალისმიერ მეთოდებსაც არ ერიდებიან, რათა ქონებას დაეუფლონ. ორი კვირის წინ, ერთ-ერთ ასეთ ფერმაში, სადაც დაახლოებით, 100 ათასი დოლარის დანადგარები იდგა, სამი დარაჯი მოკლეს და იქაურობა მაინც გაასუფთავეს",-გვეუბნება აფხაზეთის მცხოვრები.

იმის გამო, რომ რუსი ტურისტები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხშირად ხდებიან თავდასხმის ობიექტები, მათთვის ეს მხარე დასასვენებლად მიმზიდველი არ არის. უცხოელები კი იქ დამსვენებელთა საერთო რაოდენობის ერთ პროცენტსაც არ შეადგენენ. ამიტომ აფხაზეთში, მოსახლეობას შემოსავალი, უბრალოდ, არ აქვს. კრიპტოვალუტის მაინინგი კი მათთვის ნამდვილ მაშველ რგოლად იქცა, მაგრამ ყველაფერი ეს იმის ფასად, რომ მოსახლეობას ელექტროენერგიის გრაფიკი დაუწესდა.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ გრაფიკს ჯერჯერობით არ აპროტესტებენ, რადგან ასეთ შემთხვევაში, იმ შემოსავლის გარეშეც დარჩებიან, რომელიც პრაქტიკულად, ყველა ოჯახს, მცირე თუ დიდი ოდენობით, მაინც აქვს.

და არანაკლებ საინტერესო – როგორც გვეუბნებიან, სამართალდამცავები, რომლებიც კვირის განმავლობაში, დაახლოებით, 200-ზე მეტ ასეთ ობიექტს პოულობენ, იქიდან ამოღებულ დანადგარებს შემდეგ, ნახევარ ფასად, თავადვე ჰყიდიან.

23 წლის ბიჭმა იმერეთში, 90 წელს მიტანებული სამი ქალი გააუპატიურა

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ დღევანდელ რეალობაში, ვნებების დაკმაყოფილების პრობლემა არავის უნდა ჰქონდეს, მაინც არის შემთხვევა, როცა მამაკაცები ქალებზე ძალადობენ და აუპატიურებენ. ისე, ერთია, როცა ძალადობენ ახალგაზრდა ქალზე და მეორეა, როცა ძალადობის მსხვერპლი 80 წელს გადაცილებული ბებოა.

რა ჩვენება მისცა გამოძიებას მოძალადემ და რა მოხდა ციხის საკანში

„თბილისში, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი რომ გქვია და ძირითადად, მკვლელობებთან გაქვს შეხება, არ ელოდები, სხვა რამეზე რომ მოგაცდენენ. ამიტომ, კი არ გავვოცდი, გავოგნდი, როცა მითხრეს, ზემო იმერეთში უნდა წახვიდე, გაუპატიურების საქმე უნდა გამოიძიოო. ვერ მივხვდი, გაუპატიურებაში განსაკუთრებული რა იყო და მე რატომ უნდა მოვეცდინე, მაგრამ საქმე რომ გადმომცეს, ჩემდაუნებურად, სიმწრით გამეცინა – გაუპატიურებული 81 წლის ქალი იყო და მოძალადემ მას ორჯერ დანაც დაარტყა, ოღონდ აშკარა იყო, მოკვლას არ უპირებდა, დანა ნეკნების მხარეს ჰქონდა დარტყმული, მსუბუქად ნაჩხვლეტი, რაც ტკივილს უფრო მიაყენებდა“, – იხსენებს ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

დაზარალებული, სირცხვილით, ალბათ, ხმასაც არ ამოიღებდა, მაგრამ სწორედ ნაჩხვლეტი ჭრილობების გამო, საავადმყოფოში გადაიყვანეს, ექიმებმა კი წესისამებრ, მილიციაში დარეკეს. ქალი ქვრივი იყო, შვილები და შვილიშვილები ქალაქში ცხოვრობდნენ, მოძალადე კი სახლში მას შემდეგ შეუშვა, რაც უთხრა, რომ გაზის ბალონს მიჰყიდდა იაფად – მაშინ გაზის ბალონები სოფლებში ძალიან პოპულარული იყო და სპეციალური მანქანებით დაჰქონდათ. მოხუცმაც, ალბათ, იფიქრა, ახალ ბალონს შევიძენო და... მისი თქმით, მოძალადე ახალგაზრდა, მაქსიმუმ, 25 წლის იქნებოდა, თავიდან წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ჯან-ღონით სავსე კაცთან, მოხუცი რას გახდებოდა? ერთი ის ვერ გაიგო, დანა რატომ დაარტყა, გული მიმდიოდა და აზრზე დანის ჩხვლეტამ მომიყვანაო.

სამართალდამცავები თან გაბრაზდნენ, თან შეწუხდნენ, თან აღარ იცოდნენ, რა ექნათ. სოფელი ფეხზე დადგა, ჩვენიანი მაგას არ იზამდა, თანაც ჩვენი თანასოფლელი რომ ყოფილიყო, დაზარალებული ხომ იცნობდაო?! ამიტომ, დამნაშავე ან ახლო-მახლო სოფლებში, ან რაიონულ ცენტრში უნდა ეძებნათ. რაიონში ტექნიკუმიც იყო და არ გამორიცხავდნენ, მოძალადე სწორედ იმ ტექნიკუმის სტუდენტი ყოფილიყო. სანამ სამართალდამცავები ბჭობდნენ, გვერდით სოფელში იგივე მოხდა, მაგრამ ამჯერად, 89 წლის ქალზე იძალადეს. სცენარი იგივე, ტექსტი იგივე, მაგრამ...

„ამ ქალსაც დანა ჰქონდა დარტყმული, თუმცა სამჯერ და ჩანდა, რომ მოკვლა არც ამ შემთხვევაში სურდა, თუმცა სამი ჭრილობა, ლამის 90 წელს მიტანებული ქალისთვის, საკმაოდ მძიმე იყო და ამიტომ, ოპერაცია ჩაუტარდა. დაკითხვა მეორე დღეს მოვახერხეთ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, როცა ქალმა პირდაპირ თქვა, ჩვენმა თანასოფლელმა გამაუპატიურაო და მოძალადის სახელი და გვარი დაასახელა. მის მიერ დასახელებული პირი კოლმეურნეობაში მაშინ დავაკავეთ, როცა ტრაქტორიდან თივას ტვირთავდა. სახეზე გაოცება კი შეეტყო, ჩვენ რომ დაგვინახა, მაგრამ მოწმე გვყავდა და თან როგორი – დაზარალებული დაბეჯითებით ამბობდა, სწორედ მან იძალადა ჩემზეო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როცა დაკავებულს ბრალი ოფიციალურად გააცნეს, ჯერ ხუმრობა ეგონა, მერე აყვირდა, მერე ატირდა, ბოლოს იკითხა, როდის მოხდაო და როცა უთხრეს, ერთი დღით ადრეო, შვებით ამოისუნთქა. იმ დღეს, მისი დის დაბადების დღე იყო, რაიონში გახლდათ, სუფრაზე თამადობდა და სოფელში მხოლოდ დილით დაბრუნდა. ამის მოწმე სუფრაზე მყოფი ოცამდე კაცი იყო და რაც მთავარია, ყველა ადასტურებდა, ერთი წამითაც კი არ გასულა არსად, ბოლომდე მოილხინაო. გაუპატიურება კი დღის საათებში ანუ სწორედ მაშინ მოხდა, როცა ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 40 კილომეტრში, ყანწებს ცლიდა. მაშ, რა მოხდა? რატომ თქვა დაზარალებულმა, რომ მეზობელმა გააუპატიურა? მას რკინის ალიბი ჰქონდა და გამოძიებას საქმე სასამართლოსთვის რომ გადაეცა, ბრალდება მარცხისთვის ასი პროცენტით განწირული იყო. რამდენიც უნდა ემტკიცებინა ქალს, ამ კაცმა გამაუპატიურაო, ეჭვმიტანილს ათეულობით მოწმე ჰყავდა და რაც მთავარია, მათ შორის – ორი სამართალდამცავი.

„მოვიკითხე სოფელში, რამე უთანხმოება ხომ არ ჰქონდა იმ ქალს ამ კაცთან-მეთქი და ყველამ იუარა, არაფერი, გადასარევი ბიჭია, მთელ სოფელში მაგაზე ცუდს არავინ გეტყვითო. მოხუცის კიდევ ერთხელ დაკითხვამ ყველაფერი ნათელი გახადა. მას თვალებზე სერიოზული პრობლემა ჰქონდა, ნახევარ მეტრზე ვერ არჩევდა, რამდენ თითს ვაჩვენებდი და მივხვდი, მეზობელი თავდამსხმელში აერია, ან უბრალოდ, მიამსგავსა. მოკლედ, ისევ ხელცარიელი დავრჩი და რაც მთავარია, თბილისიდან უკვე უმაღლესი თანამდებობის პირები რეკავდნენ, სანამ რეგიონში პანიკა ატყდება, საქმე გახსენიო. უკვე აღარც მეღიმებოდა, გაცოფებული ვიყავი იმაზე, ვინც მოხუცებს ასეთ დღეში აგდებდა და ლამის გული გამისკდა, როცა მითხრეს, საავადმყოფოში მორიგი მსხვერპლი მიიყვანეს, 91 წლის ქალზე იძალადესო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მესამე შემთხვევა საინტერესო გახლდათ. ძალა შინაბერაზე იხმარეს, თუმცა მისთვის დანა არ დაურტყამთ. თავამსხმელი მასაც გაზის ბალონის გამყიდველად გაეცნო, მერე კი ურთიერთობის სანაცვლოდ ფული, კონკრეტულად, ხუთი მანეთი შესთავაზა. მოხუცს ჯერ ყველაფერი უკბილო ხუმრობა ეგონა, მერე მიხვდა, რომ ბიჭი არ ხუმრობდა, მაგრამ დაყვირება ვეღარ მოასწრო. გამომძიებლებს ზუსტად აღუწერა მოძალადის სახე, ჩაცმულობა და ისიც უთხრა, რაიონში მყავს სადღაც ნანახი, ოღონდ ვერ ვიხსენებ, სადო. მერე გაირკვა, მოხუცი რაიონში მხოლოდ ერთ მაღაზიაში დადიოდა, სადაც პერიოდულად, ბამბაზიის ხალათსა და კალოშებს ყიდულობდა, პროდუქტს კი სოფლის მაღაზიაში იძენდა. იმ მაღაზიის მახლობლად, სწორედ აღნიშნული ტექნიკუმი გახლდათ და სამართალდამცავებმაც ივარაუდეს, უეჭველად, იქაური სტუდენტიაო. გამოძიებამ ყველას პირადი საქმე გამოითხოვა და ორ ქალბატონს სტუდენტი ბიჭების სურათები დაუდო წინ. მესამე დაზარალებულისთვის სურათის ჩვენებას აზრი არ ჰქონდა, ხელი მეზობელს დაადო და აქაც ვინმესთვის რომ დაედო, მილიცია ისევ ცრუ კვალზე წავიდოდა.

„იმის მიუხედავად, რომ თავდამსხმელის სახე ორივეს ახსოვდა, სურათზე ვერავინ ამოიცნეს. ეს ნამდვილი კრახი იყო. შევეცადე, საქმე ცოტა გამეიოლებინა და სურათები ქალებს სახლში გავატანე, მშვიდად დაათვალიერეთ-მეთქი, თუმცა ვერც ამან გამოიღო შედეგი. ვეძებდით ფიზიკურად არცთუ სუსტ, ულვაშიან ბიჭს, რომელსაც გრძელი ბაკენბარდები ჰქონდა, მაგრამ მაშინ ულვაშები და ბაკენბარდები, ლამის მთელ საქართველოს ჰქონდა. ის იყო, ხელი ჩავიქნიე, როცა გონებაში გაანათა – ეგებ, სურათის გადაღების დროს, მოძალადეს არც ულვაში ჰქონდა და არც – ბაკენბარდები? ამიტომ, ყველა ფოტოს, რომელზეც უულვაშო ახალგაზრდები იყვნენ, მხატვარმა ულვაშებიც გაუკეთა და ბაკენბარდებიც მიახატა. ქალებმა ახლიდან, ცალ-ცალკე დაათვალიერეს სურათები და ერთმა დაბეჯითებით ამოიცნო თავდამსხმელი, მეორემ, მგონი, ეს უნდა იყოსო, მაგრამ ორივე ერთსა და იმავე სურათს ადებდა ხელს, რაც სერიოზულ საფუძველს იძლეოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ეჭვმიტანილს თვალთვალი დაუწყეს და მესამე დღეს, მაშინ დააკავეს, როცა მორიგ მოხუცს მიაკითხა, სახლში შევიდა და გაუპატიურება დაუპირა. დაკავებული 23 წლის სტუდენტი აღმოჩნდა, რომელსაც 6 თვის მოყვანილი ცოლი ჰყავდა, გოგონა ორსულად იყო და რთული ორსულობის გამო, მშობლებთან გახლდათ. ყველაზე მეტად, სამართალდამცავებს ახალგაზრდის მოტივი აინტერესებდათ, მით უმეტეს, რომ ის ცუდად არც თანაკურსელებმა დაახასიათეს და არც – მეგობრებმა.

„13 წლის ვიყავი, ჩვენთან სტუმრად დეიდა რომ ჩამოვიდა. დეიდა 60 წლამდე იყო და ერთხელ, სრულიად შემთხვევით დავინახე, აბაზანაში როგორ ბანაობდა. მას შემდეგ თვალთვალი დავიწყე, ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, მასთან ახლოს ვყოფილიყავი. ერთხელ, იმდენად არაბუნებრივად მივეხუტე, მომიშორა და მეორე დღეს, შინ გაემგზავრა. მას შემდეგ, ასაკოვანი ქალები მომწონდა. იმის მიუხედავად, რომ ქალებთან ურთიერთობაში პრობლემები არ მქონია, ცოლთანაც ნორმალური ურთიერთობა მქონდა, გული და გონება მაინც ასაკოვანი ქალებისკენ იწევდა. პირველ საქმეზე რომ წავედი, დანა ინსტიქტურად წავიყოლე, არ ვიცოდი, რა მოხდებოდა. მერე კი, გაუპატიურების დროს, ეს მოხუცები გაუნძრევლად რომ იწვნენ, დანა შევარჭვე და ამოძრავდნენ. მოკვლა არც მიფიქრია, მხოლოდ იმ მიზეზით ვარჭობდი დანას, რომ მათი მხრიდან რაიმე მეგრძნო“, – ეს იყო იმ ავადმყოფის აღიარება.

სასამართლო დახურული გახლდათ და რადგან ექსპერტიზამ ბრალდებული ფსიქიკურად ჯანმრთელად სცნო, მოსამართლემ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მარტივად მიუსაჯა, თუმცა ციხიდან „ზონაზე“ გადაყვანის შემდეგ, ორი კვირაც არ იყო გასული, საკანში ჩამომხრჩვალი რომ იპოვეს. ოფიციალური ვერსია თვითმკვლელობა კი გახლდათ, მაგრამ ამბობდნენ, მოძალადეს განაჩენი ქურდებმა გამოუტანესო.

ბავშვების გამტაცებელი მოხუცი ქალის აღსარება

საბჭოთა „ბაბა იაგას“ აფხაზური ამბავი

ბათო ჯაფარიძე

დიადი კომუნიზმის“ დროს, პიონერთა ბანაკები ჩვეულებრივი მოვლენა იყო – ასეულობით ბავშვი ზაფხულს ერთად ატარებდა, ერთობოდა, რაღაც ახალს სწავლობდა. პიონერხელმძღვანელებს უდიდესი პასუხისმგებლობა ჰქონდათ აღებული, თუმცა მაშინ ბავშვებისთვის არც ინტერნეტი იყო, არც – მობილური ტელეფონი და კომპიუტერი. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა თამაშით ერთობოდნენ, ფიზიკურად იტვირთებოდნენ, იღლებოდნენ და ღამეც ღრმა, ბავშვური ძილით ეძინათ. მათ კვებაც განსაკუთრებული ჰქონდათ და პროცესს მკაცრად აკონტროლებდნენ. „ბავშვები ჩვენი მომავალია!“ – ამ ლოზუნგით ცხოვრობდნენ მაშინ და სიტყვას საქმედაც აქცევდნენ. ის თაობა, რომელსაც ბავშვობა საბჭოთა წყობის დროს მოუწია, დამეთანხმება, რომ მაშინ ბავშვების მიმართ სხვა დამოკიდებულება არსებობდა, ბავშვებს არც ამდენი ფსიქოლოგი სჭირდებოდა და ისიც ტყუილია, თითქოს მაშინ, ბავშვებზე უფრო მეტად ძალადობდნენ და ეს დამალული გახლდათ. არა, ბავშვებს ლაღ გარემოს უქმნიდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი განათლება მიეღოთ, უფასო განათლება.

ერთ-ერთი ასეთი ბანაკი აფხაზეთშიც იყო. დღეს ოკუპირებული, ულამაზესი ტერიტორია ნამდვილი სამოთხე გახლდათ და ამ სამოთხეში ბავშვები ხშირად ისვენებდნენ.

„ჩემი შვილიც ისვენებდა პიონერთა ბანაკში და იმის მიუხედავად, რომ მქონდა შესაძლებლობა, ცოლ-შვილი დამოუკიდებლად დამესვენებინა, ბანაკში ბავშვებს ორი კვირით მაინც ვუშვებდი ხოლმე. ახალი გარემო, ახალი ნაცნობ-მეგობრები, რეჟიმი – მაშინაც ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ ყველაფერი ეს, ბავშვისთვის ძალიან კარგი იყო“, – გვიყვება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ერთ დღეს, ბანაკიდან ბავშვი დაიკარგა. ეს რიგითი შემთხვევა კი არა, საგანგებო მდგომარეობა იყო, რადგან საქმე ეხებოდა ბავშვს, პიონერს და სამართალდამცავები ვალდებულნი იყვნენ, მოეძებნათ. რაც ყველაზე საინტერესოა, მასთან ერთად დაიკარგა კიდევ ერთი ბავშვი, თუმცა ის ორ საათში შეშინებული და... დაკბენილი, მახლობელ ტყეში იპოვეს. ბავშვს ნაკბენი მკლავის მიდამოებში ჰქონდა და ექიმებმა ერთხმად თქვეს, ასეთ ნაკვალევს მხოლოდ ადამიანის კბილები ტოვებსო.

ბავშვი შოკირებული იყო, მის აზრზე მოყვანას ერთი დღე დასჭირდა, შემდეგ კი ძალიან უცნაური რამ მოყვა.

„ჩემს მეგობართან ერთად, ტყეში გავიპარე. გზად თასმა გამეხსნა, მისი შეკვრა გადავწყვიტე და მეგობარი, დაახლოებით, ათი მეტრით წინ წავიდა. მოულოდნელად, მას თავს მოხუცი ქალი დაესხა და თოკით შებოჭვა დააპირა. მის დასახმარებლად წავედი. სწორედ ამ დროს დამკბინა ქალმა, შემეშინდა და უკან გამოვიქეცი. იმ ქალს ხელში უზარმაზარი ჯოხი ეჭირა და რომ მოვრბოდი, თავშიც ჩამარტყა“, – ყვებოდა ბავშვი და თავზე იმ ადგილზე იკიდებდა ხელს, სადაც ჯოხი მოხვდა – ბავშვს სისხლჩაქცევა აშკარად ეტყობოდა.

„აფხაზეთის მთელი მილიცია ფეხზე დადგა, ჩემს ხელმძღვანელობას მოველაპარაკე და მეც იმავე დღეს ჩავედი. ჯერ ერთი, იმავე ბანაკში შვილი ისვენებდა და მეორეც, ბავშვის დაკარგვა არ იყო მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქმე, ის მთელ საქართველოს ეხებოდა და ყველას პასუხისმგებლობა გახლდათ. გადარჩენილი ბავშვი პირადად დავკითხე, თუმცა ახალი არაფერი უთქვამს – მეგობარი „ბაბა იაგამ“ მომტაცაო, ამტკიცებდა. ძალიან ძნელი იყო ამის დაჯერება, მაგრამ პატარას სხვა ვერსიის გაგონებაც არ სურდა და ამტკიცებდა, რომ არაფერი მოსჩვენებია“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაიწყო შემოგარენის შესწავლა. რა თქმა უნდა, მითიურ მოხუც ქალზე ყველა ადგილობრივს ეცინებოდა და ამბობდა, ბავშვი შიშისგან სრულ ჭკუაზე ვერ არისო. ის მშობლებმა მალევე წაიყვანეს სახლში და... თვეზე მეტი გავიდა, თუმცა გამქრალი ბავშვის კვალს ვერავინ მიაგნო. მისი მნახველი არავინ გახლდათ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯილდოც კი დააწესა ნებისმიერ ინფორმაციაზე, თუმცა ეს ინფორმაციაც არსაიდან მოდიოდა.

„მეც დედაქალაქში დავბრუნდი, ხელი ჩავიქნიეთ. ვიფიქრეთ, რომ ვიღაცამ ბავშვი მოკლა, რაიმე სიმძიმე მოაბა და ზღვაში გადააგდო. ობოლი ბიჭი გახლდათ, დედა ზრდიდა და გული დამეწვა, ის ქალი რომ ვნახე – იმ ბიჭის გარდა, არავინ ჰყავდა. ჰოდა, ერთი თვის შემდეგ, აფხაზი კოლეგა ჩამოვიდა თბილისში და ყოველი შემთხვევისთვის ვკითხე, რაიმე ახალი ხომ არ გაგიგიათ-მეთქი. იმან კიდევ, არც არაფერი, მხოლოდ ერთი ქალი მოვიდა, რომელმაც თქვა, რომ იმ შემთხვევამდე, სანამ პიონერი დაიკარგებოდა, ჩემი შვილის მოპარვას ცდილობდა ვიღაც ქალი, საღამოს ფანჯრიდან გადაიყვანა, თუმცა დავაგდებინეო. არ მივიღეთ სერიოზულად, რადგან მარტო ჯილდოს დაწესების შემდეგ გამოჩნდა და რაც მთავარია, ისიც იმას გაიძახოდა, „ბაბა იაგას“ ჰგავსო ანუ ფული უნდოდა, მაგიტომ მოიფიქრაო. აი, ხომ არსებობს ინტუიცია, შინაგანად, მთელი სხეულით ვგრძნობდი, რომ ბავშვი ცოცხალი იყო და ამიტომ, უფროსობას მეორედ გავეთავისუფლე, აფხაზეთში ისევ წავედი და ის ქალი პირადად დავკითხე. მეც იგივე მიამბო, რაც იქაურ სამართალდამცავებს, მაგრამ ერთი საგულისხმო დეტალი დააყოლა – უბრალოდ, მომხდარის შესახებ გვიან გავიგე, თორემ აქამდეც მოვიდოდი და ვიტყოდი, ოღონდ ის ბავშვი გადარჩეს და ჯილდო რაც გაქვთ დაწესებული, იმას მიეცითო ანუ ქალი ამბობდა, ფული არ მინდა, ბავშვი იპოვეთო, რაც მის სიტყვებში ეჭვის შეტანის საფუძველს მისპობდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა, აგენტურის მეშვეობით, დაიწყეს ქალის ძიება, რომელსაც, თუნდაც ხუმრობით, „ბაბა იაგას“ ამსგავსებდნენ. დაიწყეს და იპოვეს კიდეც – ერთ-ერთმა ახალგაზრდამ თქვა, ჩვენი სოფლის ბოლოში, მიტოვებულ სახლში რომ ქალი ცხოვრობს, „ბაბა იაგაა“, აბა, ვინ არის, გადარეულია, თუ არ მოეწონე, მაშინვე კბენას იწყებსო. როგორც კი კბენა ახსენეს, სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და სახლს თვალთვალი დაუწყეს.

„თვეზე მეტი იყო გასული. თუ მან ბავშვი მოკლა, ამას ადრე იზამდა, თუ ცოცხალი იყო, მაშინ შტურმის შემთხვევაში, შესაძლებელი გახლდათ, მოეკლა. ამიტომ, ისევ და ისევ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, სახლისთვის გვეთვალთვალა და როგორც კი ქალი იქაურობას დატოვებდა, დაგვეთვალიერებინა. ერთი კვირა, სრული ერთი კვირა ქალი სახლიდან არ გამოსულა. მხოლოდ ფანჯარას აღებდა, ანიავებდა და ისევ კეტავდა. რას ჭამდა, რას სვამდა, არაფერი ვიცოდით. ბავშვის იქ ყოფნის ნიშან-წყალიც არ იყო. მერვე დღეს გამოვიდა ჭიშკრამდე და ამდენი თვალთვალით თავმობეზრებულმა ოპერმუშაკებმა ხელები გადაუგრიხეს და სახლი გაჩხრიკეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაკარგული ბავშვი ლოგინზე, უგონო მდგომარეობაში იწვა. ადგილზე მაშინვე სასწრაფო დახმარების მანქანას გამოუძახეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბავშვს ძლიერმოქმედი საძილე ნაყენი ჰქონდა მიღებული. მას გადასხმა გაუკეთეს, კუჭი ამოურეცხეს და მეორე დღეს აზრზე მოვიდა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, არ ახსოვდა, სად იყო იმ ერთი თვის განმავლობაში. დედა-შვილის შეხვედრა ხომ, საერთოდ, საოცრება გახლდათ. რაც შეეხება დაკავებულს...

„შვილი მარტომ გავზარდე, მის გარდა, არავინ მყავდა. რომ დავაჟკაცდა, ცოლი მოიყვანა და ქალაქში წავიდა საცხოვრებლად. მე მარტო დამტოვა. არადა, ერთი სული მქონდა, შვილიშვილებს როდის გავზრდიდი. ამის მერე ამეკვიატა ბავშვის მოპარვის სურვილი და პირველ ჯერზე ვერ მოვახერხე. მერე პიონერთა ბანაკის ახლოს დავიწყე ხეტიალი, იქ სულ იპარებიან ბავშვები ტყისკენ. ასე მოვიპარე ბავშვი, მაგრამ სახლში მოყვანის შემდეგ მთელი ამბები ატეხა, გამიშვიო. ძველი ნაყენი ვიცი, იმას ვასმევდი და მთელი ეს დრო ასე მყავდა, ვეფერებოდი, ვბანდი, მისთვის არაფერი დამიშავებია. მერე და მერე მომეჩვეოდა და გავზრდიდი“, – ასეთი იყო ქალის მონაყოლი.

ახლა კი ნამდვილი საოცრება – საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი ბავშვის გატაცებაზე მკაცრ სასჯელს არ ითვალისწინებდა, თუ გამტაცებელი დაამტკიცებდა, რომ ბავშვისთვის ზიანის მიყენება არ სურდა. დაკავებული ქალი ექსპერტიზამ შერაცხადად სცნო, შესაბამისად, გაასამართლეს, თუმცა სწორედ ამ ჩანაწერის გამო, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, 6 თვეში კი, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

სამართალი

იმერეთის პოლიციამ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი ორი მამაკაცის მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ღ.მ. ცხელ კვალზე დააკავეს. მას ბრალად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ორი პირის განზრახ მკვლელობა ედება.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 4 აპრილს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შედეგად, თავის ნათესავ ძმებს – 1984 წელს დაბადებულ ა.მ.-სა და 1985 წელს დაბადებულ ა.მ.-ს, სანადირო თოფიდან გასროლით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა და მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ორივე მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ღ.მ., მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციამ ძალადობის ბრალდებით, თბილისში, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ნ.დ., ძალადობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 4 აპრილს, თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1991 წელს დაბადებულ ი.ფ.-ს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ფიზიკურად იძალადა მასზე, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნ.დ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს.

პოლიციამ რუსთავში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ტ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 4 აპრილს, ქალაქ რუსთავში, თავისი საცხოვრებელი ბინის კორპუსის ეზოში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელს, 1978 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, ქვედა კიდურის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შსს-მ დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბური საერთაშორისო სქემა გამოავლინა – დაკავებულია 11 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 11 პირი დააკავეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან: 1992 წელს დაბადებული ჯ.ჰ., 1997 წელს დაბადებული კ.კ., 1999 წელს დაბადებული გ.მ., 1992 წელს დაბადებული გ.გ., 1997 წელს დაბადებული მ.თ., 1994 წელს დაბადებული გ.ლ., 1996 წელს დაბადებული ვ.ნ., 1993 წელს დაბადებული ა.მ., 1997 წელს დაბადებული ა.გ., 1986 წელს დაბადებული ქ.ი. და 1997 წელს დაბადებული გ.ბ.

დანაშაულები 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის გაზაფხულზე, ისრაელის მოქალაქე ჯ.ჰ.-მ, თანამზრახველებთან ერთად, ჩამოაყალიბა შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც დროის ხანგრძლივ პერიოდში, ახორციელებდა კრიპტოვალუტით ვაჭრობით დაინტერესებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი თანხების თაღლითურად დაუფლებასა და ჯგუფის წევრებს შორის განაწილებას. უკანონო საქმიანობაში, ორგანიზატორებმა ეტაპობრივად ჩართეს უცხო ენების მცოდნე არაერთი პირი, რომლებიც სისტემატიურად უკავშირდებოდნენ პოტენციურ დაზარალებულებს და სთავაზობდნენ კრიპტოვალუტის უნაღდო ანარიშსწორებით შეძენას. დაინტერესების შემთხვევაში, ჯგუფის წევრები მათ დისტანციურად არეგისტრირებდნენ შესაბამის ვებ-გვერდზე, რის შემდგომაც, მათივე სახელით ახორციელებდნენ კრიპტოვალუტის შეძენას, რა დროსაც უზრუნველყოფდნენ გადახდილი თანხის შესაბამისი ელ.ვალუტის არა დაზარალებულის, არამედ, ორგანიზებული ჯგუფისათვის ხელმისაწვდომ ანგარიშებზე ასახვას. ზემოაღწერილი ხერხით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლნენ უცხო ქვეყნების, მათ შორის, გერმანიის, ავსტრიის, ჩინეთის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის ათეულობით მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს. ამ ეტაპისათვის, დადგენილი ზიანის ოდენობა 620 000 ევროა.

ამავდროულად, ორგანიზებული ჯგუფის წევრების ნაწილმა მოახდინა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, კერძოდ, შეიძინეს ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებები და უძრავი ქონებები, რაც გამოძიების მიერ დაყადაღებულია.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, ასევე, მოძიებულ იქნა და ყადაღა დაედო ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელის, ჯ.ჰ.-ს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ 2 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის თანხასაც.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ, პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება-შენახვა-გამოყენების, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ აჭარაში, ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა – ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 415 აბი „სუბოქსინი“

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ბათუმში, ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, დაკავებულნი არიან: 1975 წელს დაბადებული კ.ბ. და ამავე წელს დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე შ.მ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბათუმში, კ.ბ.-ის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 303 აბი.

პოლიციამ მეორე დაკავებულის, შ.მ.-ის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის ჩხრეკისას, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 112 აბი, ნივთმტკიცებად ამოიღო.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მორიგი სარჩელი სასამართლოში – ბასილაშვილს, ალიმენტის სახით, წლიურად 100 ათას ლარს სთხოვენ

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელის, ნიკა ბასილაშვილისა და მისი ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის სასამართლო დავა ქვეყნის ფარგლებს უკვე გასცდა. ამ თემაზე უცხოურმა მედიამაც არაერთხელ დაწერა, ახლა კი მორიგი თემა წამოიწია. დოროყაშვილის ადვოკატმა სასამართლოში დამაზუსტებელი სარჩელი შეიტანა და, როგორც ამბობენ, საქმე ალიმენტის თანხის ოდენობას ეხება. საუბარია წლიურ 100 ათას ლარზე, რომელიც სრულად ბავშვს უნდა მოხმარდეს. სარჩელში დეტალურად არის აღწერილი მცირეწლოვანის ყოველთვიური საჭიროებები, რაც მოიცავს მის განათლებას, დასვენებას, შოპინგს, ძიძის, ასევე, მძღოლის მომსახურებას და ა.შ.

„მიმდინარე წლის მარტში, შევიტანეთ დაზუსტებული სარჩელები (და არა ახალი) ამ ორ საქმეზე. ალიმენტის საქმეზე, დაზუსტებული სარჩელით შემცირდა მოთხოვნილი ალიმენტის ოდენობა, სადაც საუბარია ბავშვის ხარჯების ნახევრის დაფარვაზე ნიკოლოზ ბასილაშვილის მხრიდან. უცნაური გარემოებაა, როდესაც მხოლოდ ერთი მშობელი ფარავს ბავშვის მთლიან ხარჯებს, ამ შემთხვევაში, დედა, ნელი დოროყაშვილი, ხოლო მამა, ნიკოლოზ ბასილაშვილი, ფაქტობრივად, უარს აცხადებს ბავშვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. გამოდის, რომ სურს ბავშვის ცხოვრების ხარისხის გაუარესება და მხოლოდ მინიმალური, ყველაზე ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება.

რეალურად, ნელი დოროყაშვილი ითხოვს საერთო შვილის ხარჯების შუაზე გაყოფას, ხოლო მოპასუხე მხარე ამას სადავოს ხდის. ესე იგი, თუ დედა შვილს ყველაფერს უკეთებს და არაფერს აკლებს, მამამ ყველა პასუხისმგებლობა უნდა მოიხსნას ბავშვზე?!

სასამართლოში წარვადგინეთ ამ მოთხოვნის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება, მათ შორის, იმისიც, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილს, 2020 წლის მარტიდან, საერთოდ თანხა არ აქვს შვილის სასარგებლოდ გადახდილი. წელიწადზე მეტია, საერთოდ არ დაინტერესებულა შვილის ცხოვრების ხარისხით, ბატონი ნიკოლოზი“, – განაცხადა ნელი დოროყაშვილის ადვოკატმა.

ბასილაშვილის ადვოკატი კი ამბობს, რომ განქორწინების შემდეგ, დოროყაშვილს 3 მილიონ ლარზე მეტი ქონება ერგო, რასაც მეორე მხარე კატეგორიულად უარყოფს. ისეთი პირი უჩანს, რომ ნიკას სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული პროცესი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში კიდევ არაერთხელ მოექცევა.

საქართველო, ლისაბონში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონების გარეშე მიდის

16-18 აპრილს, პორტუგალიაში, ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ლაშა გუჯეჯიანმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ლისაბონში, საქართველოს ღირსებას დაიცავს. წამსვლელთა შორის არ არიან მსოფლიოს ჩემპიონი, ლუხუმ ჩხვიმიანი და ევროპის მოქმედი ჩემპიონი, ტატო გრიგალაშვილი. ორივე მათგანს მცირე ტრავმა აქვს და მწვრთნელებმა არ გარისკეს.

რაც შეეხება შემადგენლობას, ჩვენი გუნდი პორტუგალიაში 9 ვაჟითა და 5 გოგონათი წარსდგება. კონტინენტის პირველობაზე ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებიც რომ გათამაშდება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

საქართველოს ნაკრები თემურ ნოზაძე (-60კგ.), ვაჟა მარგველაშვილი (-66კგ.), ლაშა შავდათუაშვილი (-73კგ.), ლაშა ბექაური, ბექა ღვინიაშვილი (ორივე -90კგ.), ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი (ორივე -100კგ.), გელა ზაალიშვილი, გურამ თუშიშვილი (ორივე +100კგ.).

მარიამ ჯანაშვილი, ტეტიანა ლევიცკა-შუკვანი (ორივე -52კგ.); ეთერ ლიპარტელიანი (-57კგ.), მარიამ ჭანტურია (-70კგ.), სოფიო სომხიშვილი (+78კგ.).

მთავარი კითხვა: სად წავა კვარაცხელია?

საქართველოს ნაკრებში ჩატარებული სამი საუცხოო შეხვედრის შემდეგ, „რუბინში“ დაბრუნებულმა ხვიჩა კვარაცხელიამ, რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, შორეული დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა და საკუთარ გუნდს სამი ქულა გაუფორმა. უკვე რუსებიც აღარ მალავენ, რომ „კვარა“ მათი ჩემპიონატისთვის დიდი ფუფუნებაა და სეზონის ბოლოს, ის ყაზანიდან აუცილებლად წავა. ახლა მთავარი კითხვაა – სად?

„მეუბნებიან, რომ ხვიჩას თამაშს უყურეს „მილანისა“ და „იუვენტუსის“ სკაუტებმა, გერმანულმა მედიამ დაწერა, რომ კვარაცხელია „ბაიერნს“ სურს, იყო ინგლისური პრემიერლიგის ვარიანტებიც. მოდით, ვისაც ხვიჩას შეძენა სურს, ჯერ ჩემთან დარეკოს და მერე ვთქვათ, ვის რა უნდა. კვარაცხელია „რუბინის“ ფეხბურთელია, სეზონის ბოლოს ის აუცილებლად მიიღებს ჩვენგან ახალი კონტრაქტისა და ახალი პირობების შეთავაზებას, თუმცა, თუ წასვლას მოისურვებს, ჩვენ ამაში ხელს არ შევუშლით. ის ახალგაზრდა და ამბიციურია, მან დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს და მიხარია, რომ მისი აღმასვლა ჩემი გუნდიდან დაიწყო“, – განაცხადა „რუბინის“ გენერალურმა დირექტორმა, რუსტემ საიმანოვმა.

მიშველიძეს ოქრომდე 6 კილო დააკლდა

მოსკოვში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებმა პირველი მედალი მოიპოვა. 61კგ. კატეგორიაში, ვერცხლის მედალი შოთა მიშველიძეს ერგო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართველ ძალოსანს ოქრომდე ცოტა დააკლდა.

ატაცში, შოთამ 135 კილოგრამი ასწია და პირველ ადგილზე გასულ ბულგარელ სტილიან გროზდევს ქულით ჩამორჩა. აკვრაში კი ჩვენებურმა მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა, შემდეგ მეტოქეს დაელოდა და როცა ვერცხლის მედალი განაღდებული ჰქონდა, ოქროს შეუტია. ჩვენებური 162 კილოგრამს შეეჭიდა, მაგრამ ისე ჩანს, ეს მისი წონა არ არის. ცდა ბედის მონახევრეაო, ხომ გაგიგიათ, მაგრამ ამჯერად, მიშველიძემ შტანგა ვერ დაიმორჩილა და შეუძლოდაც გახდა, თუმცა ტურნირის მთავარი ექიმის, ზურაბ კახაბრიშვილის ჩარევის შემდეგ, ყველაფერი მოგვარდა.

ჰო, ჩემპიონატის ბოლო დღეს, ფიცარნაგზე მძიმე წონა გამოვა და ეჭვი გვაქვს, კონტინენტის პირველობა მოსკოვში, ქართული ჰიმნით დასრულდება – ლაშა ტალახაძე მორიგ მედალს შეუტევს.

გურამ დოჩანაშვილი



3 აპრილს, ქართველი მწერალი და კლასიკოსი, გურამ დოჩანაშვილი გარდაიცვალა. მას დაბადების დღე ერთი კვირის წინ ჰქონდა – 26 მარტს, 82 წლის გახდა. ბოლო დღეებში, მწერალი „ნიუ ჰოსპიტალის“ რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობდა.
გურამ დოჩანაშვილი, 1939 წელს, ქალაქ თბილისში დაიბადა. 1957 წელს, ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის, სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, რაც მალე პირობითი სასჯელით შეუცვალეს. 1962 წელს, დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი.
გურამ დოჩანაშვილის პირველი მოთხრობები 1961 წელს, ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. მწერალი გახდა ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი ნომინაციაში – „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.
ასევე, მიღებული ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი; ვაჟა ფშაველას სახელობის პრემია რომანისთვის – „ბრმადყოფილზე“.
იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.
გაზეთი „ვერსია“ სამძიმარს უცხადებს მწერლის ოჯახს, სრულიად საქართველოს და გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთ მოთხრობას – „მუსიკოსი“ გთავაზობთ.

მუსიკოსი

საღამო სწორედ ისეთი იყო, ჩვენ რომ გვიყვარდა.

ჩვენ დავდიოდით ლამაზ ქუჩებში – ვაბიჯებდით ხეების და ფოთლების ჩრდილებს. ფეხს ვურტყამდით პაპიროსის ნამწვავებს, ჩვენდაუნებურად მზერას ვაპარებდით განათებული ფანჯრებისაკენ. იყო სასიამოვნო სიჩუმე და გვესმოდა მხოლოდ ჩვენი ნაბიჯების ხმა. ეს ხმა გვსიამოვნებდა, არ ვიცი, რატომ... შეიძლება იმიტომ, რომ ეს იყო ჩვენი ნაბიჯების ხმა. ხმისამოუღებლად მივდიოდით. ალბათ იმიტომ, რომ გვსიამოვნებდა სიჩუმე, შეიძლება იმიტომ, რომ ლაპარაკს არ დაეფარა ნაბიჯების ხმა. ჩვენ გვსიამოვნებდა რაღაც. ეს „რაღაც“ იყო ლამაზი ქუჩა და სწორედ ისეთი საღამო, როგორიც გვიყვარდა. ჩვენ ჩავუარეთ სახლს, საიდანაც ისმოდა როიალის ხმა. ბგერები ჯარისკაცებივით მწყობრად და რითმულად მიდიოდნენ ზევით და ქვევით. ჩვენ გავცდით სახლს.

– იცი, რა? – მითხრა ნუგზარმა. – როდესაც ოდესმე კიდევ ჩავუვლი ამ სახლს, მექნება მოლოდინი, რომ გავიგონებ გამებს...

მე არაფერი ვთქვი – ვერ შევარჩიე პასუხი.

– შენც? – მკითხა მუგზარმა.

– ჰო, მეც... – ვთქვი მე.

– იცი, მე ზოგიერთ ქუჩაზე უფრო ხშირად დავდივარ. ასეთ ქუჩაზე მე ვცხოვრობ, ვსწავლობ ან უბრალოდ მომწონს ქუჩა... და დავდივარ. იმ ქუჩაზეც ხშირად ვარ...

– რომელზე?

– ის რომ ცხოვრობს...

„ის“ ერთი კარგი გოგოა, სიცილი და წითელი კაბა უხდება.

– იმ ქუჩებს კარგად ვიცნობ, – თქვა ნუგზარმა. – მივდივარ და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას, რასაც მივეჩვიე. რომელიმე ფანჯრიდან ხშირად გამოდის სიმღერების ხმა, სხვა ფანჯარაში ჩანს რომელიმე ნახატი, ზოგიერთი ფანჯრიდან მოისმის მაგნიტოფონზე ჩაწერილი მსუბუქი მუსიკა, ზოგიერთიდან გამების დაკვრა ისმის. მივდივარ ნაცნობ ქუჩებში და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას და დანახვას, რასაც მივეჩვიე. ხანდახან მიკვირს, რატომ არ ისმის სიმღერა... ჩემი სახლის წინაც დადიან, ალბათ, სხვები და ესმით... ზოგს მსუბუქი მუსიკა ურჩევნია გამების მოსმენას, ზოგს პირიქით... ის ხმა კი, ჩემი სახლიდან რომ მოისმის, არავის არ სიამოვნებს. არავის, გარდა იმისა, ვინც უკრავს და კიდევ იმისა, ვინც იცის, რაშია საქმე.

– რაა ეგეთი? – ვკითხე მე.

– მოგიყვე?

– მომიყევი.

– ჩამოვჯდეთ და მოგიყვები.

ჩვენ რომელიღაც სახლის კიბეზე ჩამოვჯექით.

– ის ჩემი მეზობელია, – თქვა ნუგზარმა. – მაშინ ყველანი მუსიკოსს ვეძახდით. ამ დაძახებაში არ იგრძნობოდა ის პატივისცემა, რომელსაც რატომღაც იწვევენ მუსიკოსები. ალბათ იმიტომ იწვევენ, რომ არის მათში რაღაც ისეთი, რაც აიძულებთ იყვნენ მუსიკოსები და არა, ვთქვათ... რა ვიცი, რამდენი სხვა პროფესიაა... ჰო, ამ დაძახებაში პატივისცემა კი არა, დაცინვა იგრძნობოდა. ალბათ, იმიტომ, რომ იმ ინსტრუმენტზე უკრავდა.

– რომელ ინსტრუმენტზე? – ვკითხე მე.

– ტუჩის გარმონზე უკრავდა... ჩვენ ყოველთვის ვბრაზდებოდით, როდესაც ის უკრავდა... რაღა, რატომღაც – წარმოიდგინე, ტუჩის გარმონზე გაუთავებელი დაკვრის მოსმენა... ამ ინსტრუმენტის ხმას მეზობლები სხვადასხვანაირად ვეძახდით – ზოგი წრიპინს, ზოგი ჩხავილს, ზოგიც წრუპუნს... უფრო ეს სიტყვა მიგვაჩნდა შესაფერისად – წრუპუნი. მას შეეძლო დაუსრულებლად დაეკრა თავის ინსტრუმენტზე. ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა ეს. ის რაღაც სხვანაირად უკრავდა. რატომღაც ყოველთვის ირჩევდა სევდიან მელოდიას. უკრავდა ხანგრძლივი ჩაბერვით. ყოველი შესუნთქვის დროს, ქრებოდა დიდი ძარღვი მის კისერზე. მკრთალი ძარღვი შუბლზე. და ასე გაუთავებლად...

ეზოში მეორე მუსიკოსიც გვყავდა, ნამდვილი მუსიკოსი. ის ვიოლინოზე უკრავდა. ის უფრო ხშირად უკრავდა, მაგრამ არავინ ბრაზდებოდა – ის ნამდვილი მუსიკოსი იყო. მეზობლებიდან ზოგს მართლა უყვარდა ვიოლინო, ზოგს არა, მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერ გამოხატავდა საყვედურს – იცოდა, რომ ვიოლინო აღიარებული ინსტრუმენტი იყო. სამაგიეროდ, ისიც ყველამ იცოდა, რომ ტუჩის გარმონი არ იყო ასეთი ინსტრუმენტი და ყველა იძახდა, რომ ყურისწამღები იყო ეს „გაუთავებელი წრუპუნი“. სიმართლე რომ ითქვას, ის არ უკრავდა ძალიან ბევრს, არ უკრავდა გაუთავებლად: დაკვრა მაშინვე წყდებოდა, როდესაც გაისმოდა ვიოლინოს ხმა. ტუჩის გარმონის ხმა მაშინვე იკარგებოდა

ვიოლინოს გაგონებაზე, თითქოს იმალებაო. მევიოლინე უკრავდა გამებს, რთულ პასაჟებს, მერე ეტიუდებს და მთელ კონცერტებს. ჩვენც ვიყურებოდით იქით, საიდანაც მოდიოდა ბგერები და გვეჩვენებოდა, რომ ფანჯარა უკრავდა. როდესაც მევიოლინე ამთავრებდა დაკვრას, ეზოში ათიოდე წუთით სიჩუმე იყო. მერე შემპარავად იწყებდა დაკვრას მუსიკოსი. ისმოდა ლამაზი, სევდიანი მელოდია, მაგრამ ჩვენ მაინც გვეჩვენებოდა, რომ მისი ფანჯარა „წრუპუნებდა“. ყველა იწყებდა ლაპარაკს: იძახდნენ, რომ მუსიკოსმა გააჭირა საქმე, რომ წაიღო ყურები, რომ აღარაა მისგან საშველი... ერთ დღეს, ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი შემოვიდა ეზოში და გაიგონა ტუჩის გარმონის ხმა. მეზობელს ვიოლინოც სძულდა. ის საერთოდ უკმეხი იყო და იმ დროს, მგონი, ცოტათი მთვრალიც. „შენ, ეი, მუსიკოსო!“ – დაიღრიალა მან. ფანჯარაში მუსიკოსი გამოჩნდა. „რა გნებავთ?“ „გააჩერე რა, თუ ღმერთი გწამს, ნუ წაიღე ყურები“. ეს პირველად ხდებოდა, როდესაც მუსიკოსს პირში ეუბნებოდნენ საყვედურს. „რას გიშლით?“ – ჰკითხა მუსიკოსმა. „როგორ, თუ რას!.. აღარაა მოსვენება“. მეზობელი ცოტათი მთვრალი იყო. „კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ორ გარმონზე ერთად დაუკრავდი“, – თქვა მეზობელმა და მიმოიხედა – უნდოდა ჩვენს სახეებზე ამოეკითხა, როგორ მივიღებდით მის ენამოსწრებულობას. „ერთი ხელითაც შემიძლია ორი გარმონის დაჭერა“, – სცადა ხუმრობა მუსიკოსმაც. „კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ოთხი გარმონით დაუკრავდი!“ – დაიყვირა მეზობელმა, მოეწონა ნათქვამი და აღფრთოვანებით გამოიხედა ჩვენსკენ. პირველად ზოგს მოეწონა ხუმრობა, მთქმელიც კი. მუსიკოსი ნაწყენი ჩანდა და ცდილობდა ეთქვა რაიმე. ვერაფერი თქვა და შებრუნდა ოთახში.

იმ დღეს ყველანი ველოდით, როდის გავიგონებდით მისი ინსტრუმენტის ხმას, მაგრამ ფანჯარა დუმდა. მე ავედი მასთან და მორიდებულად დავაკაკუნე კარებზე. კარები მუსიკოსმა გააღო. მე შევედი ოთახში და ჩამოვჯექი სკამზე. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. „დაუკარით რამე, რა...“ – ვუთხარი მე. „მე არ მეგონა“, – თქვა მუსიკოსმა, – „რომ გაწუხებდით თქვენ... ალბათ იმიტომ, რომ ყველა ინსტრუმენტი მიყვარს“. „დაუკარით, რა“, – გავუმეორე მე. „ორივე ხელი რომ მქონდეს, ვიოლინოზე დავუკრავდი“, – თქვა მუსიკოსმა.

ჩვენ დიდხანს ვისხედით ჩუმად.

„მე არ შემიძლია, არ დავუკრა“, – თქვა მუსიკოსმა. – „მე ძალიან მიყვარს მუსიკა. ისეთი კი არა, რომელსაც უსმენენ... ისეთი, რომელსაც თვითონ ჰქმნი“... მან დახედა ინსტრუმენტს: „ეს ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელზედაც შეუძლია დაუკრას ცალხელა კაცმა“.

„დაუკარით, რა“, – კიდევ ვთქვი მე.

მუსიკოსმა აიღო გარმონი, მიიტანა ტუჩებთან და ჩაჰბერა. მუსიკოსი უკრავდა ნაღვლიან მელოდიას. უკრავდა გრძელი ჩაბერვებით. შესუნთქვის დროს, ქრებოდა დიდი ძარღვი კისერზე, მკრთალი ძარღვი შუბლზე. მერე ისევ ჩაბერავდა და... ისევ იბერებოდა კისერზე დიდი ძარღვი, ისევ ჩნდებოდა წვრილი ძარღვი შუბლზე... ეს არ იყო „წრუპუნი“, არც „ჩხავილი“ და „წრიკინი“. ეს იყო ლამაზი, ნაღვლიანი მელოდია და მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია მეორე ხელზე.

ნუგზარი გაჩუმდა.

– ახლა, როდესაც ვბრუნდები სახლში, შორიდანვე ვამახვილებ სმენას. მერე გავიგონებ, რასაც მოველი და მსიამოვნებს – ეს არის ტუჩის გარმონის ხმა.

– ახლაც უკრავს ნეტავ? – ვკითხე მე.

– ალბათ...

ჩვენ წამოვდექით. მივდიოდით ლამაზ ქუჩაზე – ვაბიჯებდით ხეების და ფოთლების ჩრდილებს. იყო სასიამოვნო სიჩუმე და გვესმოდა მხოლოდ ნაბიჯების ხმა. გვსიამოვნებდა ხმა, რომელიც იყო ჩ ვ ე ნ ი.

მე გამახსენდა მუსიკოსი და რატომღაც შემშურდა მისი. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვუკრავ არცერთ ინსტრუმენტზე...

იმ ღამეს, როდესაც მარტო ვბრუნდებოდი სახლში, მე ვსტვენდი... ეს იყო ნაღვლიანი მელოდია, რომელიღაც კინოფილმიდან. მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია ჩემს ორ ჯანსაღ ხელზე, რომლებსაც არ შეეძლო დაკვრა...

მე მაინც მსიამოვნებდა სტვენა.

უცნობი ამბები ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრებიდან

31 მარტს, 81 წლის ასაკში, ანსამბლ „რუსთავის“ დამფუძნებელი, ანზორ ერქომაიშვილი გარდაიცვალა. ანზორ ერქომაიშვილი, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში 19 მარტს, კორონავირუსის დიაგნოზით შეიყვანეს და მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.
ანზორ ერქომაიშვილი, 1968 წლიდან იყო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი.
2008 წელს, საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა ოზურგეთის საარჩევნო ოლქიდან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარდგინებით.
2009 წლიდან, შეწყვიტა საკანონმდებლო საქმიანობა და გახდა ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.
2014 წელს, მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ბავშვობა

„ტრადიციულ ოჯახში ვიზრდებოდი. მგალობლები იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები, ძველი ტრადიციების მატარებელი და თუკი რამე ტრადიციული კეთდებოდა სოფელ მაკვანეთში, ჩემი ოჯახიდან იწყებოდა. დღემდე გამოგვყვა ის სიყვარული, დამოკიდებულება ადამიანებთან.

იმ დროს იდეოლოგიურად არ იყო გამართლებული, მაგრამ სოფელში მაინც ხდებოდა ტრადიციული დღეების აღნიშვნა. შობას დიდი ზეიმით ვხვდებოდით და, ასევე, კალანდას – ძველით ახალ წელს. საბჭოთა კავშირის დროს, სოფელში უფრო თავისუფლად ვგრძნობდით თავს. მახსოვს, წინა დღით, ვიდრე კალანდის დილა გათენდებოდა, ოჯახში აკეთებდნენ სადღესასწაულო სადილს, ყველაფერი იყო გათვლილი, გათვალისწინებული, როგორც შობის დღესასწაულის დღეს. აუცილებლად უნდა ყოფილიყო ღვინო, მარანი უნდა გაეხსნათ იმ დღეს, ამოეღოთ საუკეთესო ღვინო დოქით. ასევე, აუცილებელი იყო ვერცხლის ფული, რატომღაც ასე იყო. ვერცხლის ფული, როგორც წესი, ისე იყო დაკანონებული“, – იხსენებდა ერქომაიშვილი.

ანზორ ერქომაშვილის მეუღლე ნათელა ლაღიძეა, წყვილის სასიყვარულო რომანის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში არ იძებნება...

ჯარი

„ჯარში მესამე კურსიდან წამიყვანეს. „გორდელა“ დავტოვე და წავედი. ჩვეულებრივ, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ჯარში არ მიჰყავდათ. მაგრამ ხრუშჩოვის ბრძანება იყო, რომ 1941-1945 წლებში დაბადებული ყველა მამაკაცი უნდა გაეწვიათ. ამ წლებში ძალიან დაბალი იყო შობადობა, ომის გამო. გაგვიკეთეს მობილიზაცია და წაგვიყვანეს. როგორ არ იბრძოლა კულტურის მინისტრმა, ბატონმა ოთარ თაქთაქიშვილმა, ბაბუამ, თავისთავად, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ჯარიდან რომ ჩამოვედი, „გორდელაში“ დავბრუნდი და მერე წავედით ფესტივალზე ბულგარეთში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯარში სამი წელი დავკარგე. ბაბუა ცოცხალი იყო. იმ სამი წლის განმავლობაში, რამდენი რამის სწავლა, რამდენი რამის ჩაწერა შეიძლებოდა. რომ ჩამოვედი, ბაბუა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ძალიან გულდაწყვეტილმა მითხრა: ეს დრო აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩემთვის და შენთვის კი არა მარტო, ქართული სიმღერისთვის; მაგრამ რა ვქნა, ვერ მოვახერხე მეტიო. ახლაც ვგრძნობ, რა დიდი დანაკლისი იყო. ახლა, როცა საგალობლებზე ასეთი ბუმია ატეხილი, მე ბაბუა, აგერ, გვერდით მყავდა ცოცხალი. მისგან საგალობლები კი ჩავიწერე, მაგრამ შემეძლო, ასობით ჩამეწერა. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, რუსთავში წავედი სამუშაოდ და იქ ჩამოვაყალიბე ანსამბლი „რუსთავი“, 1968 წელს“, – იხსენებდა ანზორ ერქომაიშვილი.

პროფესია

ანსამბლი „რუსთავი“ ანზორ ერქომაიშვილმა, მეგობრებთან ერთად, 1968 წელს დააარსა. თავიდან ანსამბლი მხოლოდ მომღერლებისგან შედგებოდა. იმავე წელს, მომღერლებს მოცეკვავეთა გუნდი შეუერთდა და დღემდე ერთიანი სახელით აგრძელებენ საქმიანობას. დღიდან დაარსებისა, ანსამბლს მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში, 7 000-ზე მეტი კონცერტი აქვს გამართული.

50 წლის განმავლობაში, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი იყო, რომელიც ახლა, მომღერალთა დასის ხელმძღვანელმა, გიორგი ნატროშვილმა შეცვალა.

„1968 წლიდან, ანსამბლს ვუდგავარ სათავეში. მალე 80 წლის გავხდები. საჭირო იყო ახალი ძალა და შემართება, რაც ახალგაზრდებისა და, ზოგადად, მომავალი თაობის პრეროგატივაა. გიორგი ნატროშილის არჩევა დემოკრატიული გზით მოხდა და ანსამბლის წევრებმა სამხატვრო ხელმძღვანელად, სწორედ გიორგი აირჩიეს. წარმატებას ვუსურვებ მას. მე ვრჩები ანსამბლში მუსიკალურ ხელმძღვანელად“, – ამბობდა ანზორ ერქომაიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში.

„იმის მიუხედავად, რა დამსახურება ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს ქართული ხალხური სიმღერის მიმართ, ისე მოხდა, რომ ყველაზე მეტი თქვენ შეძელით. ბატონმა გია ყანჩელმა თქვენ შესახებ თქვა: „ანზორ ერქომაიშვილი იყო, არის და რჩება თავის სფეროში პატრიარქად“. რა თვისებებმა ან რა გარემოებებმა შეგიწყოთ ხელი, რომ ასეთ მაღალ მიზნებს მიაღწიეთ?“

„ ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანი უნდა ემსახუროს იმ საქმეს, რაც მას ხელეწიფება. 300 წლის ისტორია აქვს ჩემს გვარს – მუსიკალური გვარია და მუსიკამ განსაზღვრა ჩვენი მიმართულება. ჩემთვის მაგალითი იყო ბაბუა – არტემ ერქომაიშვილი და ჩემი წინაპარი გიგო ერქომაიშვილი, რომლებმაც ყველაფერი მუსიკას შესწირეს, მუსიკას მოარგეს თავიანთი ცხოვრება. მე იმ პერიოდში მომიხდა ასპარეზზე გამოსვლა, როცა ხალხური სიმღერა ნაკლებად პოპულარული იყო. არა იმიტომ, რომ ხალხს არ უყვარდა. ძველები ისევ კარგად მღეროდნენ, მაგრამ კომუნისტური იდეოლოგიის მძიმე პერიოდში, ბავშვები და ახალგაზრდები ნაკლებად სწავლობდნენ ხალხურ სიმღერას. მაშინ მოდაში იყო ოლიმპიადები და შეთხზული სიმღერები პარტიაზე, მთავრობაზე, ლენინზე, სტალინზე – ამ სიმღერებზე იზრდებოდნენ თაობები. მე ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო სწორი. განსაკუთრებით მინდოდა და ვხვდებოდი, რომ სწორედ ახალგაზრდებს უნდა ესწავლათ ხალხური სიმღერა. ამიტომ, 70-იან წლებში, როცა „რუსთავი“ უკვე გამოჩენილი ანსამბლი იყო, გადავწყვიტე, ბავშვთა გუნდი შემექმნა. მინდოდა, ბავშვებისთვის შეგვეყვარებინა ხალხური სიმღერა“, – ამბობდა ერქომაიშვილი.

ბრწყინვალების ორდენი

2020 წელს, პრეზიდენტმა ანზორ ერქომაიშვილს სახელმწიფო ჯილდო ქართული საგუნდო მუსიკის, ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის, სოფელ აცანაში, საზეიმოდ გადასცა.

საქართველოს პრეზიდენტმა ანზორ ერქომაიშვილს საქმიანობაში წარმატებები უსურვა და ქორმაისტერის დამსახურებებს შორის, მის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების დაარსებასა და იუნესკოში მოღვაწეობას გაუსვა ხაზი.

„დაიჯესტი.პია.გე“

„ფაიზერმა“ ვირუსის საწინააღმდეგო აბებიც შექმნა

ფარმაცევტული კომპანია "ფაიზერი", რომელმაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნა, ამჟამად კლინიკურ ცდებს ატარებს ვირუსის პერორალურად სამკურნალოდ. ვარაუდობენ, რომ ეს აბები პაციენტებს ადრეულ სტადიაზე დაეხმარება – მისი მიღება დაავადების პირველივე სიმპტომებისას, ჰოსპიტალიზაციამდე იქნება საჭირო. დღესდღეობით, კოვიდის საწინააღმდეგო წამალი არ არსებობს. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ მათ შეძლეს ეფექტური საშუალების შემუშავება, რომელიც ვირუსის გავრცელებას დაბლოკავს. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ აცრები და თერაპიული მკურნალობა, ნელ-ნელა, ადამიანებს ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნებს. "ფაიზერი" ახალი აბების კლინიკურ ცდებს ატარებს. შედეგები მომავალ კვირას, აშშ-ს ქიმიური საზოგადოების სხდომაზე გახდება ცნობილი. თუკი კვლევები წარმატებული აღმოჩნდება, კომპანია განაცხადს შეიტანს პრეპარატის სასწრაფოდ, 2021 წლის ბოლომდე გამოყენებაზე.

რინოვირუსი კოვიდისგან დაგვიცავს?

სურდოს გამომწვევმა რინოვირუსმა, ახალი ტიპის კორონავირუსს, სასუნთქი გზების ლორწოვან უჯრედებში გამრავლებაში ხელი შეუშალა. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ის დაიცავს ადამიანის ორგანიზმს COVID-19-გან. რინოვირუსი უამრავი მწვავე რესპირატორული დაავადების მიზეზია. კვლევები აჩვენებს, რომ მათი ერთმანეთთან და სხვა რესპირატორულ ვირუსებთან ურთიერთქმედება გავლენას ახდენს, როგორც ინფექციის მიმდინარეობაზე, ასევე, მისი გავრცელების სისწრაფეზე ადამიანებს შორის. მათემატიკურმა მოდელირებამ აჩვენა, რომ რინოვირუსით დაინფიცირებას შეუძლია შეამციროს კორონავირუსით დაავადების რაოდენობა. ამის შესამოწმებლად, დიდ ბრიტანეთში ექსპერიმენტი ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ კორონავირუსი ვერ გავრცელდა უჯრედებში, რინოვირუსით გააქტიურებული იმუნური რეაქციის გამო. თუმცა მკვლევარების განცხადებით, გადატანილი სურდოს შემდეგ, ადამიანი კვლავ შეიძლება დაინფიცირდეს კოვიდით. ერთი რეგიონის ან ქვეყნის მასშტაბით, რინოვირუსმა, შესაძლოა, შეაჩეროს კორონა-ინფექციის გავრცელება.

ტურისტებს უფასოდ დაასვენებენ

ნიდერლანდების მთავრობა, ექსპერიმენტის ფარგლებში, 200-მდე ტურისტს საბერძნეთში, დასასვენებლად გააგზავნის. ცნობილია, რომ ჰოლანდიური ტურისტული ფირმა Sunweb 187, მოგზაურს უფასოდ დაასვენებს კუნძულ როდოსზე, სისტემით all-inclusive. ამ ექსპერიმენტის მიზანი იმის გარკვევაა, რამდენად შესაძლებელია ტურიზმის განვითარება პანდემიის პირობებში. ჰოლანდიელები განთავსების ობიექტში მარტოები იქნებიან. მათ აკრძალული ექნებათ ტერიტორიის დატოვება, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულებს, ათდღიან სავალდებულო კარანტინში მოთავსებენ. ამ უფასო საგზურის მფლობელი შეიძლება გახდეს ნიდერლანდების ნებისმიერი მცხოვრები 18-დან 70 წლამდე, ვისაც კორონავირუსი არ გადაუტანია. დღეისთვის, ამ სასიამოვნო ექსპერიმენტში მონაწილეობის სურვილი უკვე 25 ათასმა ადამიანმა გამოთქვა. რა გზით მოხდება კანდიდატების შერჩევა, ჯერჯერობით, უცნობია.

ვენახს ცხვრები „უვლიან“

კალიფორნიელმა მეღვინეებმა ვენახის ბალახისგან გაწმენდისა და განოყიერებისთვის ორიგინალური მეთოდი მოიფიქრეს. ადრიან გაზაფხულზე, ისინი ქირაობენ ცხვრებს და ვენახებში უშვებენ, რაც მნიშნელოვნად ამცირებს ხარჯებს, დროს, ძალებს და ღვინის წარმოებას უფრო ეკოლოგიურს ხდის. ცხვრები ბალახსაც ძოვენ და ნაკელით ნიადაგსაც ანოყიერებენ. ზაფხულის დასაწყისიდან, პირუტყვები ვაზის ახალგაზრდა ყლორტებსაც მიირთმევენ ანუ ფურჩნიან კიდეც, რითაც მზის შუქსა და ჰაერს დიდი დოზით უხსნიან გზას ყურძნისკენ. ამით თავიდან იცილებენ სხვადასხვა დაავადებას, მოსავალი კი ჯანსაღი და გემრიელი გამოდის. ამ ყველაფრის კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ ვენახებში გაშლილი ცხვარ-ბატკანი, საკმაოდ ფოტოგენურად გამოიყურება და ტურისტებსაც დიდი რაოდენობით იზიდავს.

ყველაზე მომხიბვლელი ცნობილები დაასახელეს

მომღერალი და მსახიობი, ჯენიფერ ლოპესი, 40 წელს გადაცილებულ ცნობილ ადამიანებს შორის, ყველაზე მომხიბვლელად დასახელდა. 51 წლის ვარსკვლავს გამოკითხულთა 38%-მა დაუჭირა მხარი. ლოპესს მცირედით ჩამორჩება 52 წლის ჰოლივუდელი მსახიობი, ჯენიფერ ენისტონი – გამოკითხულებში მას მხარდამჭერთა 34%-იანი არმია ჰყავს. ლიდერთა სამეულში მოხვდა 40 წლის კიმ კარდაშიანი – ხმების 31%-ით. მსახიობი უილ სმიტი, რომელსაც წელს, 53 წლის შესრულდა, მეოთხე საფეხურზე, მეხუთზე საფეხურზე ბექჰემების წყვილი – 46 წლის ვიქტორია და 45 წლის დევიდი. მათ გარდა, მამაკაცებს შორის, გამოკითხულებმა გამოარჩიეს 58 წლის ტომ კრუზი, 57 წლის ბრედ პიტი, 52 წლის ჰიუ ჯეკმანი, 43 წლის ტომ ჰარდი და ჯორჯ კლუნი, რომელიც წელს 60 წლის იუბილეს იზეიმებს. მანდილოსნებს შორის კი, გამოკითხვის მონაწილეების აღფრთოვანებას იმსახურებს 50 წლის ნაომი ქემბელის, 47 წლის ქეით მოსისა და 45 წლის რიზ უიზერსპუნის გარეგნობა.

ხელოვნურ გულს გაყიდიან

არსებული სტატისტიკური მონაცემებით, დღეისთვის, მსოფლიოში გულის დაავადებებით ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება. განვითარებულ ქვეყნებში, ყოველი მეხუთე ადამიანი, სიცოცხლეში ერთხელ მაინც განიცდის გულის უკმარისობას. ყველაზე მძიმე შემთხვევებში, ერთადერთი გამოსავალი გულის გადანერგვაა, თუმცა ეს პრობლემა უფრო მეტ ადამიანს აწუხებს, ვიდრე დონორი მოიძებნება, რის გამოც, პაციენტებს წლების მანძილზე უწევთ ლოდინი. ასეთი ავადმყოფების დასახმარებლად, ფრანგულმა კომპანია Carmat-მა ხელოვნური გული შექმნა – ეს მოწყობილობაა, რომელიც სასიცოცხლო ორგანოს, დონორის პოვნამდე ჩაანაცვლებს.

ხელოვნური გული 4 კილოგრამს იწონის. მისი კვების წყარო ორი აკუმულატორია და ოთხსაათიან უწყვეტ მუშაობას უზრუნველყოფს. ამის შემდეგ, მოწყობილობა უნდა დამუხტოთ. ხელოვნური გულის ნაწილები ადამიანის სხეულის შესატყვისი მასალებისგან მზადდება. ქირურგიული ჩადგმის შემდეგ, ის მოვლას არ საჭიროებს. წლის ბოლოსთვის, კომპანია ასეთი 20 მოწყობილობის დამზადებას გეგმავს. თითოეული მათგანი საავადმყოფოებში გაიყიდება და მისი ფასი 160 ათას ევროზე მეტი იქნება. აღსანიშნავია, რომ ხელოვნური გული შესაფერისია მამაკაცებისთვის, რადგან ქალების უმრავლესობისთვის, მისი დიზაინი ძალიან დიდია.

მაფიოზი კულინარიის სიყვარულმა გაყიდა

იტალიური მაფიის „ნდრანგეტას“ წევრი, მარკ ფერენ კლოდ ბიარი, რომელსაც სამართალდამცავები 2014 წლიდან ეძებდნენ, დომინიკას რესპუბლიკაში დააკავეს და აპენინებზე გამოამგზავრეს. 53 წლის მაფიოზის პოვნა და დაპატიმრება „იუთუბის“ კულინარიული არხის წყალობით გახდა შესაძლებელი. იტალიური სამზარეულოს მოყვარულ ბიარის, საკუთარ მეუღლესთან ერთად, კულინარიული შოუ მიჰყავდა არხზე. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოზე, მაფიოზს სახე დაფარული ჰქონდა, სამართალდამცველებმა ის ხელებზე არსებული ტატუირებით ამოიცნეს. ბიარი დომინიკაზე, კურორტ ბოკა-ჩიკაზე იპოვეს, სადაც ის ხუთი წლის წინ, კოსტა-რიკადან ჩავიდა. მამაკაცი საკმაოდ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და მეზობლებსაც ნაკლებად ეკონტაქტებოდა. ადგილობრივი იტალიური თემიც კი მას უცხოელად თვლიდა. იტალიური პოლიცია მაფიოზის დაკავებას ნიდერლანდებში, კოკაინის კონტრაბანდისთვის ცდილობდა.

ყველაზე დიდი ნახატი გაიყიდა

ტილოზე დახატული „კაცობრიობის მოგზაურობა“ (The Journey of Humanity), დუბაიში გამართულ აუქციონზე, 62 მილიონ დოლარად გაიყიდა. სურათის ავტორი, ბრიტანელი მხატვარი, საშა ჯაფრია. მისი ეს ტილო გინესის რეკორდების წიგნშია შესული, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ტილო. გაყიდვამდე, ის დუბაის ერთ-ერთ სასტუმროში, მთელი თვე იყო გამოფენილი. ჯაფრი სურატს შვიდი თვის განმავლობაში ხატავდა, როცა დუბაის Atlantis სასტუმროში, კარნტინში იმყოფებოდა. ტილოს საფუძველი გახდა ბავშვების ნახატები 140 ქვეყნიდან, რომლებიც მხატვარს ერთ-ერთ სოციალურ ქსელში, ონლაინ-რეჟიმში გაუგზავნეს.

„კაცობრიობის მოგზაურობის“ შესაქმნელად, ჯაფრიმ 1 065 ცალი ფუნჯი და 6 300 ლიტრი საღებავი გამოიყენა. თავიდან ტილოს დანაწევრება და მისი გაყიდვა იყო დაგეგმილი, თუმცა ნამუშევრის მყიდველმა, დუბაიში მცხოვრებმა ფრანგმა, ანდრე აბდუნმა მისი მთლიანად შეძენა მოისურვა. აბდუნის კომპანია კრიპტოვალუტით ვაჭრობს. ნახატის ავტორი აპირებს, მიღებული თანხა საქველმოქმედო ფონდებს გადაურიცხოს.

ლუვრის ყველა ექსპონატი ინტერნეტშია

საფრანგეთში, ლუვრის მუზეუმმა ონლაინ-პლატფორმა აამოქმედა, სადაც ციფრულ ფორმატში, მისი სრული კოლექციაა წარდგენილი. ექსპონატების გარდა, ლუვრის საიტზე, დელაკრუას ეროვნული მუზეუმის კოლექციასაც ნახავთ. ინტერნეტ-რესურსზე არის პარიზის ტიულრის ბაღსა და ლუვრის მიმდებარედ, კარუზელის მოედანზე არსებული ქანდაკებების ციფრული ასლებიც. წარდგენილი კოლექციების შესწავლა შესაძლებელია რამდენიმე მეთოდით – თემატური ალბომებისა და კურატორების ჩანაწერებით. შექმნილია ლუვრის ონლაინ-რუკაც, რომლითაც მუზეუმის ყოველ დარბაზს დაათვალიერებთ. დღეისთვის, ციფრულ რეჟიმში გადაყვანილია და ინტერნეტში განთავსებულია 482 ათასი ექსპონატი.

„ლუვრის შესანიშნავი კულტურული მემკვიდრეობა ნებისმიერი ადამიანისთვის ერთი დაკლიკების მანძილზეა“, – აცხადებს მუზეუმის პრეზიდენტი, ჟან-ლუკა მარტინესი. პანდემიის გამო, ლუვრი გასული წლის ოქტომბრიდან დაკეტილია. იქ ახლა დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სადეზინფექციო ხსნარები საშიშია?

აშშ-ს ბაზარზე, სამედიცინო პროდუქტების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხელის სადეზინფექციო ზოგიერთი საშუალება შეიცავს ბენზოლს, რომელსაც სიმსივნის გამოწვევა შეუძლია. ცნობილია, რომ ბენზოლი აღმოაჩინეს იმ სადეზინფექციო საშუალებებში, რომლებიც ბაზარზე მას შემდეგ გაჩნდა, რაც პანდემიის გამო, ძირითადი სანიტარული საშუალებები მთლიანად გაიყიდა. ამ საშიში ნივთიერების მაღალი დონე დაფიქსირდა 168 ბრენდის შემოწმებული ბოთლების 17%-ში. ცნობილია ისიც, რომ სადეზინფექციო საშუალებები, ბენზოლის მაღალი შემცველობით, ჩინეთში ან შეერთებულ შტატებში იყო წარმოებული.

ბოროტმოქმედებს კონსერვებით გაუსწორდებიან

აშშ-ში, ალაბამას შტატში მდებარე ქალაქ ვალეის ერთ-ერთი სკოლის ხელმძღვანელობამ, მოსწავლეებს თითო ქილა კონსერვის მიტანა დაავალა. მათი გამოყენება ბოროტმოქმედებისგან თავის დასაცავად იგეგმება. კონსერვის შიგთავსს არ აქვს მნიშვნელობა, მისი რეკომენდებული წონა კი 8 უნციაა (დაახლოებით, 200 გრამი). სავარაუდოდ, ამ პროდუქტებს კლასებში შეინახავენ და თუ საჭირო გახდება, ვთქვათ, სკოლაზე თავდასხმის შემთხვევაში, მათ სატყორცნ იარაღად გამოიყენებენ. სასწავლო დაწესებულების ხელმღვანელის თქმით, ასეთი „იარაღის“ არსებობა მოსწავლეებს დაცულობის გრძნობას შემატებს.

შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად, პედაგოგები ბავშვებს ბარიკადების აგებასაც ასწავლიან, რომ დამნაშავეებმა კლასებში ვერ შეაღწიონ. თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა და ბავშვების ევაკუაცია ვერ მოხერხდა, მოსწავლეებს ურჩევენ, თავდამსხმლებს სახელმძღვანელოებით, საჩვენებელი ნიმუშებითა და სხვა საგნების საშუალებით გაუსწორდნენ. დირექტორის განცხადებით, თუ სწავლის პერიოდში კონსერვები არ დასჭირდებათ, წლის ბოლოს, სკოლის სასადილოს გადასცემენ. აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივის განსახილვლად მისული მშობლების უდიდესმა ნაწილმა, მას მხარი დაუჭირა.

ცილისწამებისთვის პრემიერს კომპენსაციას გადაუხდის

სინგაპურის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბლოგერმა ლიონ სე ჰიანმა, ქვეყნის მოქმედ პრემიერ-მინისტრს, ლი სიან ლუნს 98.8 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს ცილისწამებისთვის. როგორც "გარდიანი" წერს, სასამართლო გარჩევის მიზეზი გახდა ბლოგერის პოსტი სოციალურ ქსელ Facebook-ში – მან ახალი ამბების მალაიზიური საიტიდან ლინკი გადმოაკოპირა. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პოლიტიკოსი კანონს არღვევს და დანაშაულებრივ საქმიანობაშია გარეული. ჩანაწერი 2018 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა და რამდენიმე დღეში, მთავრობის მოთხოვნის გამო წაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ ბლოგერმა ხელისუფლების მოთხოვნა შეასრულა, არც გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ყოფილა, მასზე არც კომენტარი გაუკეთებია და არც შინაარსი შეუცვლია, პრემიერმა მაინც გადაწყვიტა საკუთარი უფლებების დაცვა და მასზე ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო, სასამართლოში იჩივლა. ბლოგერის პოსტს მხოლოდ 45 მოწონება ჰქონდა, თუმცა ამ მცირე რიცხვის მიუხედავად, მოსამართლის განცხადებით, დარწმუნებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ პრემიერის რეპუტაცია არ შეილახა.

11 წლის რეკორდსმენი

ამომავალი მზის ქვეყანაში, 11 წლის სკოლის მოსწავლემ ურთულესი ტესტი ჩააბრა მათემატიკაში, რომელსაც ჩვეულებრივ, სტუდენტ-მათემატიკოსებს აძლევენ. ის ყველაზე ახალგაზრდა მოსწავლეა, რომელმაც ეს ტესტი დაძლია. წინა რეკორდი 13 წლის ბიჭს ეკუთვნის. ჰიროტო ტაკაჰასი ტოკიოში ცხოვრობს და მეხუთე კლასში სწავლობს. მათემატიკით ის სამი წლის ასაკიდან არის დაინტერესებული. უკვე შვიდი წლისამ, მესამე დონის ტესტი ჩააბარა, რომელიც მე-11 კლასელებისთვისაა განკუთვნილი, ერთი წლის შემდეგ, მეორე დონის ტესტიც დასძლია. „მინდა მათემატიკოსი გავხდე. ახალი ჰიპოთეზები წამოვაყენო და დაავამტკიცო ახალი თეორემები“, – აცხადებს რეკორდსმენი მოსწავლე.

„მცურავ“ ელექტრომობილს გამოუშვებენ

იაპონური კომპანია Fomm, ისეთი ელექტრომობილის გამოშვებას გეგმავს, რომელიც გადაადგილდება, როგორც ხმელეთზე, ასევე, წყალზეც. ავტომობილმა არა მხოლოდ დატბორილ გზებზე გავლა, არამედ, მყარი ზედაპირის არასებობის შემთხვევაში, სპეციალური ფორმის ბორბლიანი დისკების დახმარებით, წყალზე მოძრაობა და მიმართულების შეცვლაც უნდა შეძლოს. მცურავი მანქანის გამოშვება სპეციალისტებმა ფუკუსიმას მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ გადაწყვიტეს. ახალი ელექტრომობილი ოთხ ადამიანზეა გათვლილი. მას საათში 80 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეეძლება. აკუმულატორი ერთ დამუხტვაზე, 166 კილომეტრის გავლას უზრუნველყოფს. თავდაპირველად, კომპანია 5 000 ელექტრომობილის შექმნას გეგმავს, რომელთა 20% იაპონურ ბაზარზე დარჩება. მისი შეძენა 25 ათას დოლარად იქნება შესაძლებელი.

სახლის მტვერი კიბოს იწვევს?

საყოფაცხოვრებო მტვერი, შესაძლოა, ასთმის, ალერგიისა და სიმსივნის განვითარების მიზეზიც კი გახდეს, – ასეთ განცხადებას აკეთებენ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულები. მათ ანალიზები ჩაატარეს, რომლის ფარგლებში, ქვეყნის 14 შტატში მდებარე სახლებიდან აღებულ მტვერზე მონაცემები შეაგროვეს. მკვლევარებმა სახლის მტვერში, პოტენციურად საშიში 45 ტოქსიკური ნივთიერება აღმოაჩინეს. კერძოდ, ქიმიური ნივთიერება ფტალატების სახელწოდებით, ჰაერში პროდუქტებისგან ჩნდება, მერე კი სახლში მდებარე ნივთებზე, იატაკზე გროვდება. ადამიანებს ძალიან ადვილად შეულიათ მათი ჩაყლაპვა, ფტალატები კანის მეშვეობითაც აღწევს ორგანიზმში. ამ დროს განსაკუთრებული რისკის ქვეშ პატარები არიან. სახლში საშიში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია რომ შევამციროთ, აუცილებელია, ჰიგიენის ელემენტარული წესები დავიცვათ.

„მარსიანული“ ცხვირები დაბეჭდეს

„წითელი პლანეტის“ პირობებისთვის შესაფერისი ცხვირის სამი ვარიანტი დაბეჭდეს სამგამზომილებიან პრინტერზე, იმ კვლევების შედეგების მიხედვით, რომელიც მარსის კლიმატისთვის ადამიანის ცხვირის ადაპტაციას ეხებოდა. სპეციალისტებმა "მარსიანული" ცხვირების შექმნისას, ჰაერის ტემპერატურა, ულტრაიისფერი გამოსხივების დიდი რაოდენობა და დაბალი წნევა გაიტვალისწინეს. კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ მათ მიერ შექმნილი ცხვირები, მარსის პირველ დამპყრობლებს აკლიმატიზაციის სირთულეების დაძლევაში დაეხმარება.

ფეხსაცმელი ყავის ნალექისგან

ბოლო პერიოდში, ზოგიერთი მწარმოებელი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ აქსესუარების შესაქმნელად, მცენარეულ პროდუქტებს იყენებს, მაგალითად, წყალმცენარეებს ან ანანასის ფოთლებს. გამონაკლისი არც გერმანული ბრენდი nat-2-ია, რომელმაც სპორტული ფეხსაცმელი ყავის გადამუშავებული ნალექისგან შექმნა. ფეხსაცმლის ზედა ნაწილი დაპატენტებული მასალითაა დაფარული, რომელიც 50%-ით, ყავისაგან შედგება და მისი სურნელიც აქვს. ნალექის წყალობით, გამოყენებული მასალა „ზამშს“ მოგაგონებთ. აღსანიშნავია, რომ ყველა ამგვარი სპორტული ფეხსაცმელი ხელითაა დამზადებული.

ჩაის მოყვარულებს კოშმარები არ ემუქრებათ

სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან აცხადებენ, რომ ჩაის მოყვარულებს ღამის კოშმარები არ ემუქრებათ. ჩაი დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის, განსაკუთრებით კი აზიელების საყვარელი სასმელია. ამის გამო, გასაკვირი არ არის, რომ კვლევები, სწორედ იაპონელებმა ჩაატარეს, რომელთა შედეგებითაც გაარკვიეს, რა გავლენას ახდენს ჩაი ადამიანის სიზმრებზე. აღმოჩნდა, რომ სასმელში არსებული ნივთიერება ტანინი, რომელსაც აზიელი მკურნალები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ სამედიცინო პრაქტიკაში, პრაქტიკულად, რამდენიმეჯერ ამცირებს საშინელი სიზმრების ნახვის შესაძლებლობას. ცოტა ხნის წინ, სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ მწვანე ჩაი განსაკუთრებით სასარგებლო ყოფილა მამაკაცებისთვის – ის მათ უფრო მობილიზებულსა და ჭკვიანს ხდის.

შავი ბრინჯი სიმსუქნის წინააღმდეგ

როგორც სწავლულები ამტკიცებენ, ეს პროდუქტი ხელს უწყობს ცხიმოვანი დაგროვებების მოშორებას. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, საკვებად შავი ბრინჯის დამატება, ღვიძლში ცხიმების წარმოქმნის პროცესს აჩერებდა იმ მღრღნელებშიც კი, რომელებიც სპეციალურად, კალორიულად იკვებებოდნენ. პრალელურად, ცხოველებში ქოლესტერინის დონის კლებაც დაფიქსირდა. მკვლევართა თქმით, შავ ბრინჯს საკმაოდ დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვს, ამასთან, ის ნოყიერია და დიდი რაოდენობით უჯრედისს შეიცავს. თეთრ ბრინჯს კი, პირიქით, დიდი გლიკემიური ინდექსი აქვს, რაც დიაბეტის განვითარებით იმუქრება, ამიტომ გახდომის მსურვლებს, სწავლულები ურჩვენ, რომ თეთრი ბრინჯი, რაციონში, შავით ჩაანაცვლონ.

კიბოს წამალს კვერცხიდან მიიღებენ?

შოტლანდიელმა სწავლულებმა გენმოდიფიცირებული ქათმების ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომლებიც კვერცხს დადებენ, ოღონდ ადამიანის ცილით. მათგან კი შემდგომ დაამზადებენ წამლებს ართრიტის, ვირუსებისა და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცილის გამომუშვებაზეა პასუხისმგებელი. მისი ელემენტები გადანერგეს წიწილების დნმ-ში. მათგან გაზრდილი ქათმები კი უკვე დადებენ კვერცხს, რომლის შემადგენლობაშიც საჭირო ცილა იქნება. ასეთი ფრინველების პირველი პარტია უკვე გამოყვანილია. სწავლულების თქმით, კვერცხისგან მიღებული პრეპარატები 100-ჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ლაბორატორიებში სინთეზირებული. ასე რომ, ანტივირუსული და კიბოს საწინააღმდეგო წამლები, შესაძლოა, გაცილებით გაიაფდეს.

პროდუქტები, რომლებიც ფსიქიკას აზიანებენ

ესპანეთის ლას-პალმასის უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ზოგიერთი პროდუქტი ცუდად აისახება ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ძირითად გამღიზიანებლებებლად მეცნიერებმა „ფასტ-ფუდი“, ფქვილის ნაწარმი, ორცხობილა და ნამცხვრები დაასახელეს, რომლებიც სახლში კი არა, საკონდიტროებსა და ფაბრიკებში ცხვება. მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 9 ათასი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი სხვადასხვა სახის პროდუქტებს მიირთმევდნენ.

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ვინც შეგნებულად ირჩევდა საკვებად „ფასტ-ფუდსა“ და ნაცხვრებს, უფრო აგრესიული ხდებოდა და გაღიზიანებასაც ხშირად გამოხატავდა. სპეციალისტების განცხადებით, ვის რაციონშიც ბოსტნეული და მწვანილი სჭარბობდა, უფრო თავშეკავებულები და მშვიდები იყვნენ. ესპანელი მკვლევარების ვერსიით, თუ ადამიანი რეგულარულად იკვებება გამღიზიანებელი-პროდუქტებით, უკვე ერთი თვის შემდეგ, მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა უარესდება. ამის მიზეზი ტრანსცხიმების მოქმედებაა, რასაც ორგანიზმი ცუდად ითვისებს და შინაგან ორგანოებში ილექება. თანაც ასეთი საკვები სისხლში ქოლესტერინის დონეს ზრდის და ჭარბ წონასაც იწვევს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.